F-171
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

**5**

მაისი

F. 3477

თბილისი—1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 28 იანვრის ბრძანება № 36

### ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უფროს კლასელ მოსწავლეთათვის ავტოსაქმის სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 28 აპრილის № 268 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

გავეცანი რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 28 აპრილის № 268 ბრძანების „—ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთათვის ავტოსაქმის სწავლების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ბრძანების შესასრულებლად გარკვეული მუშაობაა გაწეული. დადგენილების შესაბამისად შედგენილი იქნა სამწლიანი გეგმა საშუალო სკოლების უფროს კლასებში ავტოსაქმის სწავლების შემოღების შესახებ. აღნიშნული გეგმის საფუძველზე მიმდინარე 1969—1970 სასწავლო წელს ავტოსაქმის სწავლება შემოღებულია 15 საშუალო სკოლაში. 1971—1972 სასწავლო წლისათვის ასეთი სკოლების რიცხვი გაიზრდება 105-მდე. გეგმის შესაბამისად ქალაქებსა და რაიონებში დროულად იქნა შერჩეული სკოლები, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომების დადგენილებით მიმაგრებულნი არიან ადგილობრივ ავტომეურნეობებზე; ამ სკოლებს გადაეცათ ავტოსაქმის სასწავლო პროგრამები, ინსტრუქცია მძღოლის მოწმობის გაცემის წესების შესახებ ავტოსაქმისსწავლებიან ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულ მოსწავლეებზე, ათ ავტოსაქმისსწავლებიან სკოლაზე განაწილებული იქნა შეკეთებული სატვირთო ავტომანქანები, შერჩეულია ავტოსაქმის მასწავლებლები, რომელთაგან დიდმა ნაწილმა გაიარა გადასამზადებელი კურსები.

რიგი შემოწმებული სკოლების ხელმძღვანელები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1969 წლის 28 აპრილის № 268 ბრძანების შესრულებას და შეფი ორგანიზაციების დახმარებით მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს.

წლების მანძილზე ჩატარებული სისტემატური და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ქ. თბილისის 66-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. მახარაძე, მასწავლებელი ს. სარქისიანი), შეფი ორგანიზაციის დახმარებითა და უფროს კლასელ მოსწავლეთა შრომითი მონაწილეობით, მოწყობილია ავტოსაქმის სასწავლო კაბინეტი და აგებულია სასწავლო ავტომანქანისათვის სადგომი გარაჟი. ქ. სოხუმის მე-14 საშუალო სკოლაში (დირექტორი ტ. მალიგინა, მასწავლებლები ვ. კურატოვი, ა. საროჩკინი) ავტოსაქმის სწავლებისათვის გამოყოფილია 175 $მ^2$ საერთო ფართობის სათავსოები, რომლებშიაც მოწყობილია ავტოსაქმის სასწავლო კაბინეტი, საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნო, კაბინეტი ქუჩაში ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესების შესასწავლად, გარაჟი ავტომანქანისათვის და საკუჭნაო მანქანის სათადარიგო ნაწილებისა და მასალების შესანახად. აღნიშნული სკოლების ავტოსაქმის სწავლების კაბინეტები შევსებულია ავტომანქანის ნაწილებით, კვანძებით, აგრეგატებით, პლაკატებითა და სხვა თვალსაჩინო მასალებით. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ორჯონიკიძის რაიონის კიცხის საშუალო სკოლაში (დირექტორი ფ. გელაშვილი, მასწავლებელი ვ. ყლენტი). აგრეთვე მოწყობის პროცესშია ქ. თბილისის 72-ე და 77-ე, ქ. ქუთაისის 23-ე, ქ. სამტრედიის მე-3, ქ. ტყიბულის მე-3, ქ. სოხუმის მე-19 საშუალო სკოლების ავტოსაქმის სასწავლო კაბინეტები.

მიუხედავად ამისა, შემოწმებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთი ნაწილი, სადაც უფროსკლასელი მოსწავლეები მძღოლის პროფესიას ეუფლებიან, სერიოზულ წინააღმდეგობას შეხვდა ავტოსაქმის სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზების შექმნის საქმეში.

ზოგიერთ ავტოსაქმისსწავლებიან სკოლაში ავტოსაქმის სასწავლო კაბინეტებისათვის არ არის გამოყოფილი საჭირო ფართობის სათავსოები, მოუწყობელია საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნო და მანქანების სადგომი გარაჟი ტექნიკური მომსახურების პუნქტით, არ არის მიღებული სასწავლო ავტომანქანები ორმაგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მართვით, შერჩეული არაა ადგილი და ტექნიკურად მოუწყობელია მანეჟი მოსწავლეთა მიერ ავტომობილის პრაქტიკული ტარებისათვის.

ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია სკოლების მომარაგება ავტომობილის სათადარიგო ნაწილებით, აკუმულატორებით, ძრავებისა და აგრეგატების მოქმედი სტენდებით, თვალსაჩინოებით, საწვავი, საზეთი და სხვა საჭირო მასალებით.

შემოწმებული სკოლების ავტოსაქმის სასწავლო კაბინეტები შევსებული არაა საჭირო დგამ-ავეჯით, მოწყობილობით, დამხმარე ხელსაწყოებით, ავტომანქანის ნაწილებით, დამონტაჟებული და დადგმული არაა ძრავებისა და აგრეგატების მოქმედი სტენდები.

ზოგიერთ შემოწმებულ ავტოსაქმისსწავლებიან სკოლას ავტოსაქმის სასწავლო კაბინეტის მოწყობის საქმეში სათანადო დახმარებას არ უწევს შეფი ავტომეურნეობა. ასე, მაგალითად, ქ. ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლას გადაეცა ავტომანქანის სრულიად უვარგისი ნაწილები და სასწავლო ტექნიკა.

ცალკეული ხარვეზებით ხასიათდება ავტოსაქმის მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მიერ ჩატარებული გაკვეთილები და პრაქტიკული მეცადინეობები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 28 აპრილის № 268 ბრძანების შესრულების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 28 აპრილის № 268 ბრძანებით დასახულ ღონისძიებათა დროულად შესრულება, სკოლების შერჩევა და სათანადოდ მომზადება მომავალი და შემდგომი სასწავლო წლებისათვის; სკოლების შერჩევისას გაითვალისწინონ ავტოსაქმის სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად ადგილობრივი ავტომეურნეობების შესაძლებლობანი;

ბ) ავტოსაქმისსწავლებიან სკოლებში ავტოსაქმის სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის დადგენილებით განახორციელონ სკოლების მტკიცე კავშირი იმ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დაწესებულებებთან რომლებსაც გააჩნიათ მძლავრი ავტომეურნეობები;

გ) პერიოდულად შეისწავლონ და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე მოისმინონ საკითხი ავტოსაქმისსწავლებიან სკოლებში ავტოსაქმის სწავლების მდგომარეობის შესახებ და შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახონ ქმედითი ღონისძიებები;

დ) მიავლინონ ავტოსაქმის მასწავლებლები და ინსტრუქტორები დახელოვნების კურსებზე მათი პროფესიული და პედაგოგიური დახელოვნების მიზნით.

2. ავტოსაქმისსწავლებიანი სკოლების დირექტორებმა:

ა) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ავტოსაქმის სწავლებისათვის სათანადო სათავსოების გამოყოფისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით, ფართოთ ჩააბან ამ საქმიანობაში ადგილობრივი ავტომეურნეობები, უზრუნველყონ მათგან ავტოკაბინეტებისათვის საჭირო ძრავები აგრეგატების, მანქანის ნაწილების, ცალკეული კვანძების, მოქმედის მოდელების, აპარატურისა და პლაკატების მიღება;

ბ) სისტემატურად დაესწრონ ავტოსაქმის მასწავლებელთა გაკვეთილებს, მოახდინონ მათი ღრმა ანალიზი, მოწინავე მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილება განაზოგადონ მეთოდურ თათბირებზე;

გ) იზრუნონ საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნოს შექმნაზე, მოსწავლეთა მიერ ავტომობილის პრაქტიკული ტარების შესასწავლად მანეჟის ადგილის შერჩევასა და მოწყობაზე.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) 1970 წლის 20 თებერვლამდე მოამზადოს ცირკულარული წერილი ავტოსაქმის მასწავლებელთა და ავტომანქანის პრაქტიკული ტარების სწავლების ინსტრუქტორთა შრომის ხელფასით ანაზღაურების შესახებ.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე)

შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს ავტოსაქმისსწავლებიანი სკოლების ავტოკაბინეტების საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნოების, გარაჟების, ტექნიკური მომსახურების პუნქტების უზრუნველყოფა საჭირო მასალებითა და დანადგარებით.

5. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე უწყებების მიერ ზემდგომი ორგანოების დადგენილების ზოგიერთი პუნქტის შესრულების შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 16 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 17 თებერვლის ბრძანება № 69

### სასკოლო ინვენტარისა და საბავშვო ავეჯის დამზადების მიმდინარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ სასკოლო ინვენტარისა და საბავშვო ავეჯის დამზადების გეგმა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად სრულდება და ეს მაშინ, როდესაც სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის ფართოდ გაშლის გამო სასკოლო და საბავშვო ბაგა-ბაღების ავეჯზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება. ყოველწლიურად შენდება ახალი სკოლები 28000 მოსწავლე ადგილით და საბავშვო ბაღები 5000 ბავშვთა ადგილით. გარდა ამისა, სკოლებისა და საბავშვო ბაღების ინვენტარის დიდი ნაწილი ამორტიზებულია და ახლით შეცვლას მოითხოვს.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ფაბრიკების მიერ გასულ წელს არ შესრულებულა ინვენტარისა და ავეჯის გამოშვების გეგმა, ასე მაგალითად, დამზადდა 40 ათასი მერხი ნაცვლად 45 ათასისა, აქედან არ დამზადებულა ახალი ნიმუშის არცერთი მერხი, სასკოლო დაფა 6500-ის ნაცვლად დამზადდა 5000, უნდა დამზადებულიყო 200 ცალი ამწოვი კარადა, არ დამზადდა არც ერთი ცალი.

ამასთან ერთად ავეჯი ცუდი და შეუფერებელი მასალისაგან მზადდება, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ძალზე დაბალი ხარისხისაა. ავეჯის დეტალები მუშავდება დაბალხარისხოვნად და სტანდარტის დარღვევით. დამზადებული ავეჯი შეუფუთავად იგზავნება, ტრანსპორტირების დროს ზიანდება და გამოსაყენებლად უვარგისი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ნიმუშების სასკოლო ავეჯის დასამზადებლად პროექტები და ტექნიკური დოკუმენტაციები დამზადებულია და საწარმოებზე გადაცემული, მათი მასობრივი გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვების მიზნით დღემდე მუშაობა არ არის დაწყებული (მერხი, სამასწავლებლოს ინვენტარი და სხვ.). სასკოლო ფაბრიკების ხელმძღვანელობა ძალზე აგვიანებს ახალი ინვენტარის წარმოებაში დანერგვას.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია საბავშვო ავეჯის გამოშვება. ამ სახის ინვენტარის გამოშვება დღემდე სანახევროდაც კი ვერ აკმაყოფილებს მასზე მოთხოვნილებას. აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად, ხშირ შემთხვევაში, საჭირო ხდება სხვადასხვა სახის ინვენტარის სხვა რესპუბლიკებიდან შემოზიდვა.

უკანასკნელ წლებში განათლების სამინისტროს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ საჭირო რაოდენობით არ ეძლევა ავეჯის ფონდი, რაც მძიმე მდგომარეობას ქმნის.

სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, საბავშვო ბაღებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ინვენტარით უზრუნველყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ეთხოვოს საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული სასკოლო ინვენტარისა და საბავშვო ავეჯის გამოშვება, აამაღლოს გამოშვებული ავეჯის ხარისხი და დანერგოს ახალი ტიპის სასკოლო ინვენტარის გამოშვება.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტს, გამოყოს ავეჯის ფონდი განათლების სამინისტროს განაცხადის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ს. არველაძე):

ა) დროულად წარუდგინოს განაწილება ფაბრიკა-ქარხნებს სასკოლო ინვენტარისა და საბავშვო დაწესებულებათა ავეჯზე და თვალყური ადევნოს მის ადგილებზე მიზიდვას;

ბ) მიიღოს ზომები ავეჯის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

გ) დასდოს ხელშეკრულებები და შემოზიდოს სხვა რესპუბლიკებიდან მხოლოდ ისეთი ავეჯი, რომელიც საქართველოს სსრ-ში არ მზადდება;

დ) პირველ რიგში უზრუნველყოს ახალი სკოლებისა და საბავშვო ბაღების ავეჯითა და სხვა მოწყობილობებით მომარაგება.

4. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) თავის დროზე წარმოუდგინონ განაცხადი განათლების სა-მინისტროს მათთვის სასკოლო ინვენტარისა და საბავშვო ავეჯის გამოსაყოფად;

ბ) დროულად გაზიდონ გამოყოფილი ავეჯი, დააკმაყოფილონ პირველ რიგში ახალი სკოლები და საბავშვო ბაღები საჭირო ინვენტარით;

გ) დაბალხარისხოვანი ინვენტარის მიღების შემთხვევაში წა-რუდგინონ რეკლამაციები მომწოდებელ. ორგანიზაციებს და ასლი გადმოუგზავნონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს;

დ) თვალყური ადევნონ სასკოლო ინვენტარისა და საბავშვო ავეჯის შენახვისა და მოვლის საქმეს.

5. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ს. უჩანეიშვილი) ყოველწლიურად გამოყოს საჭირო თანხები ახალი საბავშვო ავეჯის პროდუქტების დასამზადებლად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 18 თებერვლის ბრძანება № 78

### „მმართველობის აპარატის სრულყოფისა და გაიაფების თაობაზე“ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში განათლების სამინისტროს მიერ საკმაოდ დიდი ორგანიზებული მუშაობაა ჩატარებული აპარატის გაიაფებისა და მის შენახვაზე გამოყოფილი ხარჯების შესამცირებლად, სკოლების ქსელის მოსაწესრიგებლად, ყველა რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებაში საბუხჰალტრო აღრიცხვის ცენტრალიზაციისათვის, ამასთანავე სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში სიჭარბის სალიკვიდაციოდ დასახულია მნიშვნელოვანი ღონისძიებები, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს: რაიონებსა და ქალაქებში სასკოლო ქსელი ჯერ კიდევ ყველგან არ არის მოწესრიგებული, არასაკმაოდ ტარდება მუშაობა მცირეკომპლექტიანი სკოლების შემდგომი გამსხვილებისა და შემცირებისათვის; ბევრგან საგრძნობია მოსწავლეთა განთესვა, მეორეწლიანობა; მუშაახალგაზრდობის სკოლებში, გახანგრძლივებული დღის ჯგუფებსა და სკოლა-ინტერნატებში არ სრულდება მოსწავლეთა მიღების გეგმები, ასევე არ სრულდება სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების მიღების გეგმები.

ზოგან აღმზრდელები და სხვა მუშაკები აყვანილი არიან დამტკიცებული შტატების ზევით; ხუთდღიან კვირაზე მომუშავე საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ხშირად აღმზრდელთა შემადგენლობა დაუტვირთავია დადგენილ ნორმასთან შედარებით, რიგ დაწესებულებებში არ არის დამყარებული სახელმწიფო დისციპლინა

ამა თუ იმ ღონისძიებისათვის ასიგნებული სახსრების ეფექტურად გამოყენებისათვის.

სახალხო განათლების განყოფილებები, სკოლები, სკოლამდელი და სხვა დაწესებულებები ხშირად იძენენ ძვირადღირებულ ინვენტარს (ავეჯს და მოწყობილობას, სხვადასხვა ძვირფას პლაკატებს, პანოს, ნახატებს, სურათებს და ა. შ., რომელთა შეძენა არ არის აუცილებლობით გამოწვეული.

მიუხედავად საქართველოს სსრ განთლების სამინისტროს 1968 წლის 16 ივლისის № 447 ბრძანებისა, ინვენტარ-მოწყობილობის აღრიცხვა მრავალ სკოლასა და სხვა დაწესებულებაში არადამაკმაყოფილებლად წარმოებს. არ არის შემოღებული საინვენტარიზაციო წიგნები: სახალხო განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილებათა მიერ შეძენილი ინვენტარი და მოწყობილობა ბევრგან არ არის გამოყენებული დანიშნულებისამებრ, ადგილი აქვს ზოგიერთი მოწყობილობის (კაბინეტებში) პირადად დირექტორების მიერ გამოყენების შემთხვევებს (ტელევიზორების, რადიომიმღებების, კინოდანადგარების და ა. შ.).

უყურადღებობისა და მოუვლელობის შედეგად სკოლებსა და დაწესებულებებში მაღალფასიანი მოწყობილობა ინვენტარი ვადამდეა ამორტიზებული. ასევე მოუვლელია ბევრგან რბილი ინვენტარი (ტანსაცმელი, ლოგინის მოწყობილობა და სხვ.), რაც თავის მხრივ იწვევს მის აღსადგენად დამატებითი სახსრების გაღების საჭიროებას.

ამასთან ერთად, სამეურნეო საჭიროებათათვის ასიგნებული სახსრები ხშირად იხარჯება უყაირათოდ, არის შემთხვევები როდესაც საგრძნობი თანხებია გაღებული ისეთ მივლინებაზე, რომელიც არაა აუცილებლობით გამოწვეული.

მმართველობის აპარატის შემდგომი გაიაფების, დაუსაბუთებელი ხარჯვების აღკვეთის და საერთოდ საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე), სკოლების (ამხ. ა. ჩხიკვაძე), სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების (ამხ. რ. კანდელაკი), საღამოს და დაუსწრებელი სკოლების (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) სამმართველოებთან ერთად შეისწავლოს სასკოლო ქსელის შემდგომი რაციონალიზაციის საკითხი (მცირეკომპლექტიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერ-

ნატების და საღამოს (ცვლიანი) სკოლების დამსხვილება და მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის წარმომიდგინოს დასკვნა სათანადო ღონსძიებების დასახვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) ორი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ცენტრალიზებული წესით სამეურნეო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.

3. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი), აღმზრდელთა სამუშაო დროის შემჭიდროების მიზნით, შეისწავლოს ხუთდღიან კვირაზე მომუშავე სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმი და შედეგების შესახებ მასალები წარმომიდგინოს ორი თვის ვადაში.

4. სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებმა, რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებისა და ორგანიზაციების დირექტორებმა:

ა) მიიღონ ზომები სახალხო განათლების დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ორწლიანობისა და სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის აღმოსაფხვრელად, მუშათა და სოფლის ახალგაზრდობის სასკოლო ქსელის მოსაწესრიგებლად, მცირეკომპლექტიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გამსხვილებისათვის, საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების, ხოლო სკოლა-ინტერნატებში და გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში აღსაზრდელთა მიღების გეგმის შესასრულებლად; ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანილ საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელების სამუშაო დროის მოწესრიგების უზრუნველსაყოფად.

ბ) დაუყოვნებლივ აღკვეთონ ძვირადღირებული ყოველგვარი ინვენტარ-მოწყობილობის, ავეჯის, სურათების, პანოს და სხვათა შეძენა. დაამყარონ უსასტიკესი მომჭირნეობის რეჟიმი გამოყოფილი სახსრების ეფექტურად გამოყენების საქმეში;

გ) არ დაუშვან მიზანშეუწონელი ისეთი მივლინებები, რაც გეგმით არაა გათვალისწინებული.

5. სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსებმა გააუმჯობესონ თავიანთი აპარატის მუშაობა, აამაღლონ შრომის კულტურა, დისციპლინა, გაზარდონ თანამშრომელთა პასუხისმგებლობა და მუშაობის ეფექ-

ტურობა. სასტიკი კონტროლი დაამყარონ დოკუმენტების მომზადების ხარისხზე და არ დაუშვან დაგვიანება ამა თუ იმ დავალებების შესრულებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მინისტრის თანაშემწემ (ამხ. ბ. ბარამიძემ) შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და შემოწმების შედეგები მომახსენოს ა/წ. 1 ივნისისათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 18 თებერვლის ბრძანება № 80

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაქვემდებარების ზოგიერთ დაწესებულებაში ჩატარებული რევიზიებითა და შემოწმებებით დადგენილია, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, კვების პროდუქტების, რბილი ინვენტარის, თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და სხვ. წვრილმანის დატაცება, რაც ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და ბუხჰალტრების მხრივ არასაკმაო კონტროლის შედეგს წარმოადგენს.

მსგავს დატაცებათა მთლიანად ლიკვიდირების, სახელმწიფო ქონების დაცვა-შენახვისადმი პასუხისმგებლობის გაზრდის, წვრილმან დატაცებაში ხელისშემწყობ პირობების აღმოსაფხვრელად საჭირო ზომების მიღების მიზნით, ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს დაწესებულებათა ხელმძღვანელებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად: ა) სახელმწიფო ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები; ბ) აწარმოონ ორგანიზაციული მუშაობა ყოველი მუშისა და მოსამსახურის სოციალისტური ქონებისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების სულისკვეთებით აღსაზრდელად; გ) შეამოწმონ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებული პირადი შემადგენლობა და გაათავისუფლონ სამუშაოდან ისეთები, რომელნიც ვერ უზრუნველყოფენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და არ იმსახურებენ ნდობას; დ) აწარმოონ სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი დაწესებულებებისა და საბავშვო სახლების საწყობებში არსებული კვების პროდუქტების მოულოდნელი შემოწმება თვეში

არანაკლებ ორჯერ და რბილი ინვენტარის საწყობებში თვეში ერთხელ მაინც.

ეროვნული

2. კაბინეტებსა და ლაბორატორიებში არსებულ მოწყობილობებზე, თვალსაჩინო ხელსაწყოებზე და მასალებზე მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ კაბინეტებისა და ლაბორატორიების გამგეებს, ლაბორანტებს (იქ, სადაც გამგის თანამდებობა არ არის დაწესებული); აღნიშნული თანამდებობის პირთა შეცვლისას ქონების მიღება-ჩაბარება აუცილებლად ინვენტარიზაციის ჩატარებით უნდა მოხდეს.

3. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილებამ (ამხ. ვ. მაქაცარია) სისტემატურად აწარმოოს შემოწმებები: ა) არსებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა პირველ რიგში სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების სასურსათო და რბილი ინვენტარის საწყობებში; ბ) სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში მათ მიერ მიღებული თვალსაჩინო ხელსაწყოებისა, მათ შორის ტელევიზორების, რადიომიმღებების, რადიოლების, კინოდანადგარების და ა. შ. დანიშნულებისამებრ გამოყენების საკითხებზე.

4. რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა, რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებისა და წარმოებათა დირექტორებმა ერთი თვის ვადაში მომახსენონ მათ მიერ ამ ბრძანების შესასრულებლად მიღებული ზომების შესახებ.

5. დაევალოს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსს ამხ. ვ. მაქაცარიას შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება და შემოწმების შედეგები მომახსენოს მიმდინარე წლის 1 მაისისათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის 1970 წლის 18 თებერვლის ბრძანება № 2/252—77

რესპუბლიკის იმ საშუალო სკოლებში, რომლებშიც 1970 წლის 1 სექტემბრიდან დაწყებითი სამხედრო მომზადება იქნება შემოღებული სამხედრო ტექნიკური სპეციალობის. პროფილის დაწესების შესახებ

ვ. ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა და სამხედრო კომისრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სამხედრო კომისრებმა:

ა) იმ საშუალო სკოლებს, რომლებშიც 1970 წლის 1 სექტემბრიდან დაწყებითი სამხედრო მომზადება იქნება შემოღებული, 1970 წლის 22 თებერვლამდე დაუწესონ სამხედრო-ტექნიკური სპეციალობის (ავტომობილისტი, მოტოციკლისტი, რადიოტელეფონისტი, მაშველი ნავის მესაჭე, ელექტრიკოსი, ელექტრორადიომემონტაჟე, ტრაქტორისტი) ერთ-ერთი პროფილი.

ბ) სამხედრო-ტექნიკური სპეციალობის პროფილის დადგენისას გაითვალისწინონ შრომითი პოლიტექნიკური სწავლების მხრივ სკოლაში არსებული მდგომარეობა (კაბინეტები, ლაბორატორიები და სხვა), სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა და შეფი ორგანიზაციების შესაძლებლობანი;

გ) სკოლებისათვის სამხედრო ტექნიკური სპეციალობის პროფილის დადგენის შესახებ ა/წ 25 თებერვლამდე განათლების განყოფილების გამგის, სამხედრო კომისრისა და სკოლის დირექტორის ხელმოწერით მოხსენებითი ბარათი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს.

2.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის სათანადო განყოფილებებმა (ამხ. ამხ. მ. კინწურაშვილი და ა. ორახელაშვილი) სათანადო კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მოგვახსენონ ა/წლის 28 თებერვლამდე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უშ. იზოლაძე

საქართველოს სსრ სამხედრო
კომისარი, გენერალ-მაიორი
გ. მურუსიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის 1970 წლის 26 იანვრის ბრძანება № 128/166

**რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისათვის სამხედრო ხელმძღვანელთა კანდიდატების შერჩევის შესახებ**

რესპუბლიკის ზოგიერთ საშუალო სკოლაში 1970 წლის 1-ლ სექტემბრიდან დაწყებით სამხედრო მომზადების შემოღებასთან დაკავშირებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა და სამხედრო კომისრებმა, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სამხედრო კომისრებმა:

ა) 1970 წლის 5 მაისამდე შეარჩიონ სამხედრო ხელმძღვანელთა კანდიდატები საშუალო სკოლებისათვის, სადაც 1970 წლის 1-ლ სექტემბრიდან დაწყებითი სამხედრო მომზადება იქნება შემოღებული;

ბ) სამხედრო ხელმძღვანელებად შეარჩიონ თადარიგის ოფიცრები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სამხედრო განათლება და ოფიცრის წოდება, უპირატესად სამხედრო-ტექნიკური ჯარების გვარეობიდან;

გ) სამხედრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევისას გაითვალისწინონ მათი ასაკი, ჯანმრთელობა, საერთო და პოლიტიკური მომზადება;

დ) სამხედრო ხელმძღვანელების თანამდებობაზე დასანიშნავად შეარჩიონ ორი კანდიდატი და საჭირო ცნობები № 1 დანართის მიხედვით წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს 1970 წლის 10 მაისამდე.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რეს-პუბლიკის სამხედრო კომისარიატის სათანადო განყოფილებებმა (ამხ. ამხ. მ. კინწურაშვილი და ა. ორახელაშვილი) ქმედითი კონტროლი დააწესონ აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მოგვახსენონ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ სამხედრო
კომისარი გენერალ-მაიორი
ვ. მურუსიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დანართი № 1

1. აღნიშნეთ ქალაქის (რაიონის) საშუალო სკოლა, სადაც 1970 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებული იქნება დაწყებითი სამხედრო-მომზადება.

2. სამხედრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე გათვალისწინებული კანდიდატების გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი.

3. რა სამხედრო განათლება აქვს, რომელი სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, (სად და როდის).

4. რა სამხედრო წოდება აქვს მინიჭებული.

5. საბჭოთა არმიაში გატარებული სამსახურის დროისა და ხანგრძლიობის აღნიშვნა.

6. პარტიულობა და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი (სამოქალაქო განათლების აღნიშვნით).

7. მოკლე დახასიათება.

ამ სახის მონაცემები ა/წლის 10 მაისამდე წარმოდგენილი უნდა იქნეს სამხედრო ხელმძღვანელის ორ კანდიდატზე.[1]

**შენიშვნა:** წარმოდგენილ ცნობებს ხელს აწერენ განათლების განყოფილების გამგე და სამხედრო კომისარი.

მეორე განყოფილების უფროსი
**მ. კინწურაშვილი**

დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილების უფროსი
**ა. ორახელაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1970 წლის 19 თებერვლის ბრძანება № 88ა/117

### ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებების მუშა-ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა I რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგებისა და II კონფერენციისათვის მზადების შესახებ

აღვნიშნავთ, რომ შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშა-ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა პედაგოგიური კითხვა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, ორგანიზებულად ჩატარდა.

რესპუბლიკის შრომა-გასწორების დაწესებულებათა სკოლების მასწავლებლობა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშაკები დიდი ინტერესით შეხვდნენ აღნიშნულ ღონისძიებას. კონფერენციის შედეგად ამაღლდა შრომა-გასწორების დაწესებულებათა სკოლების ავტორიტეტი, პირველი ნაბიჯები გადაიდგა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებისა და შრომა-გასწორების პედაგოგიკის აქტუალური პრობლემების დამუშავებაში გარკვეული წვლილის შეტანისათვის. 72 მოხსენებიდან, რომლებიც წაკითხულ იქნა მუშა-ახალგაზრდობის ათ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში, 28 შეირჩა რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის.

კონფერენციის მუშაობის დღის წესრიგში შევიდა 13 მოხსენება, რომლებიც მოსმენილი და განხილული იქნა 1970 წლის 2—3 თებერვალს.

კონფერენციაზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება სეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: კლასის ხელმძღვანელი-

სა და რაზმეულის მეთაურის ერთობლივი მუშაობა პატიმარ-მოსწავლეთა ხელახალი აღზრდის საქმეში, მასწავლებლების ინდივიდუალური მუშაობა პატიმარ-მოსწავლეებთან, მოსწავლე პატიმარებში ქცევის კულტურული ჩვევების გამომუშავება, ზოგიერთი საგნის სწავლების სპეციფიურობის შესახებ შრომა-გასწორების კოლონიების სკოლებში და სხვ.

კონფერენციაზე წაკითხული ბევრი მოხსენება გარკვეულ წვლილს შეიტანს შრომა-გასწორების დაწესებულებებთან არსებულ სკოლებში პედაგოგიური პროცესის ეფექტურობისა და პატიმარ-მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების საქმეში.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუშა-ახალგაზრდობის 25-ე და 26-ე, მუშა-ახალგაზრდობის მე-5 და ზოგიერთი სხვა მუშა-ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მასწავლებლებმა.

მიუხედავად აღნიშნულისა, კონფერენციის მუშაობაში ადგილი ჰქონდა გარკვეულ ნაკლოვანებებს: კონფერენციის მუშაობაში სრულიად არ მიიღეს მონაწილეობა მე-7, მე-3 და მე-4 საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლებს (დირექტორები ბ. დარჯანია, გ. ცხაკაია, ა. კვერნაძე, დ. დოლიძე, ზ. გელაშვილი).

მომავალ II რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის სათანადო მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

1. რესპუბლიკის შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშა-ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა ამთავითვე გაშალონ ფართო მუშაობა 1972 წლის თებერვლის პედაგოგიურ კითხვაში მოწინავე მასწავლებელთა ჩაბმის უზრუნველსაყოფად; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოწინავე მასწავლებელთა, აღმზრდელთა და რაზმების მეთაურთა შემოქმედებითი ინიციატივისა და თაოსნობის განვითარებას, მათი გამოცდილების ანალიზსა და განზოგადებას სწავლებისა და პატიმარ-მოსწავლეთა ხელახალი აღზრდის აქტუალური საკითხების სათანადო მეცნიერული სიღრმით დამუშავებას.

2. ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა:

ა) რეცენზირება გაუკეთოს საკავშირო პედაგოგიურ კო-თხვებზე გასაგზავნ ხუთ საუკეთესო მოხსენებას მ/წ 28 თე-ბერვლამდე;

ბ) სათანადო კრებულში გამოსაქვეყნებლად მოამზადოს კონ-ფერენციაზე მოწონებული საუკეთესო მოხსენებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ 1-ლ რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებებისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით კონფერენციის 5 მონაწილე, ხოლო განათლების სამინისტროს დიპლომით 7 მონაწილე.

4. ინფორმაცია აღნიშნული პედაგოგიური კონფერენციის შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების" უახლოეს ნომერში.

5. აღინიშნოს, რომ მე-7, მე-3 და მე-4, სალამოს (ცვლის) საშუალო სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არასერიოზულად მოეკიდნენ პედაგოგიური კითხვის მნიშვნელოვან ღონისძიებას და არც ერთი მოხსესება არ წარმოუდგენიათ.

6. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დააწესოს განათლების სამინისტროს სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძემ) და შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველომ (ამხ. მ. ქურდაშვილმა).

**საფუძველი**: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიების 1970 წლის 13 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
**თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი
ვ. შევარდნაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 20 თებერვლის ბრძანება № 91

### რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სკოლა-ინტერნატებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, კომუნისტური აღზრდის დონის ამაღლებისა და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. აღსანიშნავია თბილისის ფიზიკა-მათემატიკის, ატენის. ბათუმის № 2, განთიადის № 1. გურჯაანის, კაჭრეთის, სოხუმის № 1, ცხინვალის საშუალო, თბილისის რვაწლიანი და ზოგიერთი სხვა სკოლა-ინტერნატის მიერ მოპოვებული წარმატებანი საერთოდ, კულტურულ-მასობრივ მუშაობასა და ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაში განსაკუთრებით.

ამასთან ზოგიერთ სკოლა-ინტერნატს მუშაობაში გააჩნია ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან ცხოვრებისა და შრომისათვის განათლებული და თავდადებული ახალგაზრდობის მომზადების საქმეს.

სკოლა-ინტერნატების დირექტორების, სასწავლო დარგში მათი მოადგილეების, უფროს აღმზრდელთა მხრივ სასწავლო პროცესსა და დისციპლინის განმტკიცებაზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობის, აგრეთვე აღმზრდელ-მასწავლებელთა ერთი ნაწილის არასაკმაო პროფესიული მომზადების შედეგად ბარისახოს, ახალდაბის, ახალციხის № 1, დრანდის, დუშეთის, ლაგოდეხის, მახარაძის, ფოთის, სოხუმის № 2, წულუკიძესა და ზოგიერთი სხვა სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს სერიოზული ხარვეზები გააჩნიათ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიო-

ლოგიისა და სხვა საგნების ცოდნაში, დაბალია მათი წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა.

ეროვნული

სასწავლო პროცესის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია და იმის შედეგად, რომ ჯერ კიდევ დანერგილი არ არის თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრაქტიკა, დაბალია აღსაზრდელთა მნიშვნელოვანი ნაწილის საერთო მომზადების დონე, ბევრი მათგანი ჩამორჩება სწავლაში. 1868—1969 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით სკოლა-ინტერნატების 20. 902 შეფასებულ მოსწავლიდან კურსის განმეორებით გასავლელად იმავე კლასში დატოვებული იქნა 799 აღსაზრდელი. მახუნცეთის სკოლა-ინტერნატში 249 შეფასებული მოსწავლიდან 40 მეორეწლიანია, კირნათის 318-დან—49, ბათუმის № 2 სკოლა-ინტერნატში 317-დან 32 და ა. შ.

გაუმჯობესებას მოითხოვს სკოლა-ინტერნატების აღმზრდელ-მასწავლებლების საქმიანობა. აღმზრდელები ხშირ შემთხვევაში მეთვალყურის როლში გამოდიან, ისინი პერსონალურად არ სწავლობენ აღსაზრდელებს, არ ნერგავენ მათში თვითმომსახურებისა და შრომით ჩვევებს, არ აძლევენ მათ საჭირო მითითებებსა და მიმართულებებს საშინაო დავალებების შესრულებისას და სხვ.

ზოგიერთი სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივის წევრთა შორის შეინიშნება არაკოლეგიალური დამოკიდებულება, უპრინციპო დავა, რაც მეტად არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნის დაწესებულებაში, აფერხებს მუშაობასა და უარყოფითად მოქმედებს მომავალი თაობის აღზრდაზე,

რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებში სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ 22 ათასი აღსაზრდელის ნაცვლად 1968—1969 სასწავლო წელს სწავლობდა 21,275, ხოლო 1969—1970 სასწავლო წელს 21,669 მოსწავლე. მიმდინარე სასწავლო წელს წითელწყაროს სკოლა-ინტერნატს დააკლდა 124 აღსაზრდელი, ფოთის—77, ყაზბეგის—42, ლენტეხის—35, ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატს—27 და ა. შ.

სკოლა-ინტერნატებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას აღსაზრდელთა შრომითი აღზრდა და პროფესიული ორიენტაცია. სკოლა-ინტერნატები თავიანთ აღსაზრდელებს ჯერ კიდევ ვერ ამზადებენ მრავალმხრივი შრომითი საქმიანობისათვის მატერიალური წარმოების სფეროში, არ ნერგავენ პრაქტიკით შემოწმებულ შრომითი სწავლების ქმედით, ცხოვრებისეულ ფორმებს, არ

აუმჯობესებენ სასწავლო სახელოსნოებისა და ლაბორატორიების აღჭურვილობას, ცოცხალ, საქმიან კავშირს არ ამყარებენ წარმოებებთან.

მიუხედავად სკოლა-ინტერნატების მატერიალური ბაზის მნიშვნელოვანი განმტკიცებისა, ბოგდანოვკის, ლაჯანურის, დრანდისა და წულუკიძის სკოლა-ინტერნატები კვლავინდებურად მოთავსებული არიან შეგუებულ შენობებში. ზოგიერთ მათგანს არ გააჩნია კეთილმოწყობილი კვების ბლოკი, სპორტული დარბაზი და მოედანი, სასწავლო კაბინეტი და ლაბორატორია.

ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს მესტიის სკოლა-ინტერნატის სასწავლო, ყაზბეგისა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსების მშენებლობა.

სერიოზული ნაკლოვანებებია აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციაში. პროდუქტებით არარითმული მომარაგებისა და ზოგიერთი სახის სასურსათო საქონლის საკოლმეურნეო ბაზრებზე სახელმწიფო ფასებთან შედარებით მაღალ ფასებში იძულებით შეძენის გამო რიგ სკოლა-ინტერნატში არაიშვიათად ხდება კვებისათვის განკუთვნილი თანხების გადახარჯვა. ლაგოდეხის, მახუნცეთის, კაჭრეთის, ბათუმის № 1, ახალდაბის, ბარისახოს, თბილისის რვაწლიანი და ზოგიერთი სხვა სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა კვება ხშირად ერთფეროვანია და არ შეეფერება დადგენილ სახეებსა და ნორმებს.

სკოლა-ინტერნატებში სათანადო ყურადღება არ ექცევა აღსაზრდელთა სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობასა და სამედიცინო პროფილაქტიკურ გამოკვლევას.

სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფინანსიური დარღვევების, თანხების უყაირათო ხარჯვის, სახელმწიფო ქონების მითვისება-განიავების ერთეულ შემთხვევებს, არარაციონალურობას სამეურნეო საქმიანობაში და სხვ., რის გამო უკანასკნელ დროს სამუშაოდან მოიხსნა ან განთავისუფლდა 5 დირექტორი და დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში.

ჯერ კიდევ ბოლომდე არ აღმოფხვრილა სკოლა-ინტერნატების მიერ დაბალ მხატვრულ დონეზე შესრულებული პორტრეტების, პლაკატებისა და პანოების შეძენის შემთხვევები. ასე, მაგალითად, თბილისის მუსიკალურმა სკოლა-ინტერნატმა 1969 წელს შეიძინა 2,500 მანეთად ღირებული პანო.

სკოლა-ინტერნატებში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სა-შეფო ორგანიზაციები და მზრუნველთა საბჭოები. სუსტია კავში-რი აღსაზრდელთა მშობლებთან, ყოფილ აღსაზრდელებთან.

სკოლა-ინტერნატების საქმიანობაში ზემოხსენებული და სხვა ნაკლოვანებანი გამოწვეულია ამ დაწესებულებების დირექტორების ჯერ კიდევ სუსტი მუშაობითა და სკოლა-ინტერნატებისადმი სახალ-ხო განათლების ორგანოების არასაკმაო დახმარებითა და ხელ-მძღვანელობით.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით „რესპუბლიკის სკო-ლა-ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონის-ძიებათა შესახებ“ დასახული ღონისძიებების ცხოვრებაში გასატა-რებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების მინი-სტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატების მუშაობი-სადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, განამტკიცონ დისციპლი-ნა თანამშრომელთა შორის, მიაღწიონ დირექტორებისა და მთელი პედაგოგიური პერსონალის პასუხისმგებლობის ამაღლებას სასწავ-ლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად ორგანიზების საქმეში, ძირშივე აღკვეთონ თანამშრომელთა მხრივ საკუთარი მოვალეო-ბის შესრულებისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამოვლინებანი;

ბ) სკოლა-ინტერნატების მთელი სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა წარმართონ მოსწავლეთა ზოგადი და შრომითი განათ-ლების ამაღლების, აღსაზრდელთა ფიზიკური და ესთეტიკური მო-მზადების გაუმჯობესებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მათი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად;

გ) კომკავშირულ ორგანოებთან ერთად გაატარონ აუცილე-ბელი ღონისძიებანი სკოლა-ინტერნატებში კომკავშირული და პიო-ნერული მუშაობის გასაუმჯობესებლად, მოსწავლეთა მტკიცე კო-ლექტივის შესაქმნელად, მათ შორის შეგნებული დისციპლინის დასამყარებლად, მოსწავლეთა შორის მრავალფეროვანი აღმზრდე-ლობითი მუშაობის ფართოდ გასაშლელად;

დ) ყველა შემთხვევაში მიაღწიონ სკოლა-ინტერნატების კონ-ტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) ქმედითი ზომები მიიღონ აღსაზრდელთა კვებისათვის გამოყოფილი თანხების მთლიანად ასათვისებლად;

ვ) ყურადღება მიაქციონ სკოლა-ინტერნატების შენობების გაფორმებას, არ დაუშვან უგემოვნოდ, დაბალ დონეზე შესრულებული სტენდებით, პლაკატებითა და სხვა მხატვრული ნაწარმოებებით მათი გადატვირთვა;

ზ) ფართო მუშაობა გაშალონ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად;

თ) ეს ბრძანება განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე. დასახონ და განახორციელონ სპეციფიკური ღონისძიებანი სკოლა-ინტერნატების მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ი) 1970 წლის 30 დეკემბრამდე განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ მოხსენებითი ბარათები ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) მტკიცე კონტროლი დააწესონ მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე; სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები და აღმზრდელთა მიერ ჩატარებული მეცადინეობანი, გააძლიერონ მათი პასუხისმგებლობა აღსაზრდელთა ცოდნასა და საერთო კულტურულ მომზადებაზე, მიაღწიონ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას;

ბ) ისე მოაწყონ დღის რეჟიმის ორგანიზაცია, რომ ნამდვილად უზრუნველყოფილი იქნეს აღსაზრდელთა სწავლის, შრომისა და დასვენების სწორად შეხამება;

გ) ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციას, უზრუნველყონ ნორმით გათვალისწინებული პროდუქტების სრულად მიღება და აღსაზრდელებამდე დაყვანა;

დ) ყველა აუცილებელი პირობა შექმნან აღსაზრდელთა ცხოვრებისათვის, მიიღონ ზომები იმისათვის, რომ გოგონებისა და ვაჟებისათვის ცალკე იქნას მოწყობილი პირსაბანი ოთახები, იზო-

ლატორები, საშრობები, აგრეთვე სხვა სათავსოები საყოფაცხოვრებო და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სკოლა-ინტერნატების მასწავლებლებმა და აღმზრდელებმა აამაღლონ სწავლებისა და აღზრდის ხარისხი, ყოველდღიური დახმარება აღმოუჩინონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს, უზრუნველყონ მათი მომზადების არსებითი ამაღლება.

4. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძემ):

ა) 1970 წლის ბოლომდე უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები აუცილებელი რბილი და მაგარი ინვენტარით, მაღალი ხარისხის ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით;

ბ) მიიღოს ზომები სკოლა-ინტერნატების სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, დანადგარებითა და მასალებით შესავსებად.

5. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ:

ა) უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო მასალებით; გაითვალისწინოს ყაზბეგის, ბარისახოსა და მესტიის სკოლა-ინტერნატების სასწავლო და საძინებელი კორპუსების მშენებლობების ახალი 1970-71 სასწავლო წლისათვის დამთავრება;

ბ) დააწესოს მეთვალყურეობა ლენინგორისა და მატნის მშენებარე სკოლა-ინტერნატების დადგენილ ვადებში საექსპლოატაციოდ შეყვანაზე.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბოგდანოვკის, ბარისახოს, დრანდის, ლაჯანურისა და წულუკიძის სკოლა-ინტერნატების მატერიალური ბაზების განსამტკიცებლად და ყველა სკოლა-ინტერნატთან სპორტული კომპლექსების შესაქმნელად საჭირო თანხების გამოყოფა.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) შეისწავლოს კეთილმოუწყობელ საბავშვო სახლებიდან აღსაზრდელების სკოლა-ინტერნატებში გადაყვანის საკითხი და დასაბუთებული წინადადება შემოიტანოს კოლეგიაზე განსახილველად;

ბ) განათლების სამინისტროს 1970 წლის ძირითად ღონისძიებათა და სამმართველოს ყოველკვარტალური სამუშაო გეგმების

- შესაბამისად სისტემატურად ჩაატაროს სკოლა-ინტერნატების სას-წავლო-სააღმზრდელო მუშაობის კომპლექსური შემოწმების შე-დეგების განათლების სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად შემოტანა;

გ) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 13 თებერვლის დადგე-ნილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 20 თებერვლის ბრძანება № 92

### ზოგიერთი საგნის უცხოურ ენაზე სწავლების რიგ საშუალო სკოლებში უცხოური ენების სწავლების მდგომარეობის შესახებ

განვიხილე რა ქ. თბილისის ზოგიერთი საგნის უცხოურ ენაზე სწავლების სკოლებში უცხოური ენების სწავლების მდგომარეობას, აღვნიშნავ, რომ 1964—1965 სასწავლო წელს ქ. თბილისის მე-5, მე-6, მე-18, მე-19, 22-ე, 29-ე, 44-ე, 68-ე, და 130-ე საშუალო სკოლებში დამატებით იქნა შემოღებული ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება II კლასიდან.

ქ. თბილისის მე-4, მე-5, 23-ე, 29-ე, 44-ე, 75-ე და 130-ე საშუალო სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია უცხოური ენის კვალიფიციური კადრებით. მასწავლებლები კარგად ფლობენ სასაუბრო ენას და სწავლების მეთოდებს, მონდომებით ემზადებიან გაკვეთილისათვის, გაკვეთილს მთლიანად უცხოურ ენაზე ატარებენ, ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას და სხვა შესაფერ ღონისძიებებს და ამის შედეგად ამდიდრებენ მოსწავლეთა ლექსიკურ მარაგს. მათი მოსწავლეების საკმაოდ დიდი ნაწილის მომზადების დონე მაღალია, მდიდარია ლექსიკური მარაგი, გამომუშავებული აქვთ უნარ-ჩვევები პრაქტიკულად გამოიყენონ ენობრივი ცოდნა და გამართულად იმეტყველონ პროგრამით გათვალისწინებული თემატიკის ირგვლივ.

დასახელებული სკოლებიდან კარგი მუშაობით გამოირჩევიან მასწავლებლები: ვ. თვალაბეიშვილი, დ. ვაწაძე, ლ. კობახიძე, ი. კუტალაძე, თ. ჩიმაკაძე, მ. გიორგაძე, ვ. ფარჩუკიშვილი (მე-4 საშ. სკოლა). დ. ჩაგუაშვილი (მე-5, საშ. სკოლა) ჟ. კობახიძე, ლ. ნონიკაშვილი, ს. ფელზერი, ნ. ელბაქიძე, ნ. კობახიძე, ც. ნაბახტეველი (23-ე საშ. სკოლა), ა. ტანიმანიდი, თ. ზალკანიანი

(44-ე საშ. სკოლა), ი. ლოლაძე, ტ. კერაშვილი, ც. ურუშაძე, ლ. კობახიძე, ლ. რევია, ც. ქობულავა (130-ე საშ. სკოლა), [illegible]ცაძე (75-ე საშ. სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს ქ. თბილისის მე-6, მე-18, მე-19, 22-ე, და 68-ე საშ. სკოლების მუშაობა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. მიუხედავად განათლების სამინისტროს არაერთჯერადი მითითებისა, აღნიშნული სკოლები არ არის დაკომპლექტებული მომზადებული კადრებით. მასწავლებლები უცხოური ენის გაკვეთილებს მეტად დაბალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე ატარებენ. გაკვეთილები V—VI კლასებში ძირითადად მშობლიურ ენაზე ტარდება. მასწავლებლები ნ. ედილაშვილი (მე-6 საშ. სკოლა) მ. აბაშიძე, ქ. ფერაძე (მე 18 საშ. სკოლა), მ. ნიბლაშვილი (მე-19 საშ. სკოლა). არ იყენებენ თვალსაჩინოებას, სათანადო ტექნიკურ საშუალებებს, არ მუშაობენ ზეპირი მეტყველების განვითარებაზე და მხოლოდ კითხვითა და თარგმნით იფარგლებიან, ამის გამო მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია: მოსწავლეები ვერ პასუხობენ ელემენტარულ კითხვებზე და ვერ საუბრობენ პროგრამით გათვალისწინებულ ისეთ მარტივ თემებზეც კი როგორიცაა ჩემი სკოლა, ჩემი სამუშაო დღე, ჩემი ოჯახი და სხვ.

თუმცა მე-4, მე-5, 23-ე, 44-ე. 75-ე საშ. სკოლებში გამოყოფილია ოთახები უცხოური ენის კაბინეტებისათვის, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არაა მოწყობილი თანამედროვე მოთხოვნათა მიხედვით, ხოლო მე-6, მე-18, მე-12, 22-ე, 68-ე, 130-ე საშ. სკოლებში დღემდე უცხოური ენების კაბინეტებისათვის ოთახებიც კი არაა გამოყოფილი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. უცხოური ენის მასწავლებლებმა სწავლის პროცესში მაქსიმალურად გამოიყენონ სხვადასხვა თვალსაჩინოება და სკოლებში არსებული ყველა ტექნიკური საშუალება, რათა უზრუნველყონ მოსწავლეთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევების ათვისება და მათი პრაქტიკული გამოყენება.

2. შეწყდეს 1970-1971 სასწავლო წლის სექტემბრიდან უცხოური ენების გაძლიერებული სწავლება ქ. თბილისის მე-6, მე-12, მე-18, მე-19, 22-ე. 58-ე, და 68-ე საშ. სკოლების II კლასიდან.

3. მე-4. მე-5, 23-ე, 44-ე, 75-ე საშ. სკოლის დირექტორებმა აღჭურვონ არსებული უცხოური ენის კაბინეტები საჭირო თვალსაჩინოებებითა და ტექნიკური საშუალებებით.

4. 130-ე საშ. სკოლის დირექტორმა უმოკლეს ვადაში გამოყოს საკლასო ოთახი უცხოური ენის კაბინეტისათვის და მიიღოს ზომები მის სათანადოდ მოსაწყობად.

5. დაევალოს მე-4 საშ. სკოლის დირექტორს 1970-71 სასწავლო წლიდან შემოიღოს გერმანული ენის გაძლიერებული სწავლება არა უმცირეს ორ მეორე კლასში.

6. ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგეს (ამხ. თ. ეგაძე): ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ასეთი ტიპის სკოლებში ინიშნებოდნენ უცხოური ენების მაღალკვალიფიციური კადრები სათანადო წესის დაცვით.

ბ) მიიღოს ზომები რიგ სკოლებში უცხო ენების გაძლიერებული სწავლების შეწყვეტასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებული მასწავლებლების სამუშაოთი უზრუნველყოფისათვის ჩვეულებრივი სწავლების სკოლებში.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 6 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 20 თებერვლის ბრძანება № 93

### საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლის გრაფიკის დამტკიცების შესახებ

საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ახალ სასწავლო პროგრამებზე გეგმაზომიერი გადასვლის უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო ქართული და რუსული საშუალო სკოლების ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლის გრაფიკი (თან ერთვის).

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) უზრუნველყოს საღამოს (ცვლის) სკოლების მასწავლებელთა გადამზადება ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლის გრაფიკის შესაბამისად.

3. გაზეთ „სახალხო განათლების" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" სარედაქციო კოლეგიებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ საღამოს (ცვლის) სკოლების მასწავლებელთა დასახმარებლად მასალები ახალი პროგრამებით მუშაობის საკითხებზე.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 18 დეკემბრის დადგენილებით (ოქმი № 29) დამტკიცებული საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლის გრაფიკი..

5. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საღა-მოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი**: სსრკ განათლების მინისტრის 1970 წლის 6 იანვრის № 2 ბრძანება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

## საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო ქართული საშუალო სკოლების ახალ პროგრამებზე გადასვლის გრაფიკი

| № | საგნები | 1970/71 | 1971/72 | 1972/73 | 1973/74 | 1974/75 | 1975/76 | 1976/77 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მშობლიური ენა | 7, 8, 9, 10 | 3, 4, 5 | 6, 9 | 7, 10 | 8, 11 | | |
| 2 | მშობლიური ლიტერატურა | 7, 8, 9, 10 | 5, 11 | 6 | | | | |
| 3 | რუსული ენა და ლიტ. | | 5, 11 | 6 | | | | |
| 4 | მათემატიკა | | | 3, 4. 5 | 6 | 7, 9 | 8, 10 | 11 |
| 5 | სსრკ ისტორია | | 4, 7, 8, 9, 10, 11 | | | | | |
| 6 | მსოფლიო ისტორია | | 5, 6, 8, 9, 10, 11 | | | | | |
| 7 | საზოგადოებათმცოდნეობა | | 11 | | | | | |
| 8 | გეოგრაფია | | 5, .6, 7, 9 | 8 | | | | |
| 9 | ბიოლოგია | | 5, 6. 8, 10, 11 | 7 | | | | |
| 10 | ფიზიკა | | 6, 7 | 8 | 9 | 10 | 11 | |
| 11 | ასტრონომია | | 11 | | | | | |
| 12 | ხაზვა | | 7, 9 | 10 | | | | |
| 13 | უცხოური ენები (ფაკულტატიური) | | 9 | 10 | 11 | | | |
| 14 | ქიმია | | 7, 8, 11 | 9 | 10 | | | |

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო

### საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო რუსული საშუალო სკოლების ახალ პროგრამებზე გადასვლის გრაფიკი

| № | საგნები | 1970/71 | 1971/72 | 1972/73 | 1973/74 | 1974/75 | 1975/76 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მშობლიური ენა | | 3—4,5 | 6, 9 | 7, 10 | 8, 11 | |
| 2 | მშობლიური ლიტერატურა | 7, 8. 9, 10 | 5, 11 | 6 | | | |
| 4 | რუსული ენა და ლიტერატურა | 7, 8, 9, 10 | 5, 11 | 6 | | | |
| 4 | მათემატიკა | | 3—4,5 | 6 | 7, 9 | 8, 10 | 11 |
| 5 | სსრკ ისტორია | 4. 7, 8, 9, 10, 11 | | | | | |
| 6 | მსოფლიო ისტორია | 5, 6, 8, 9, 10, 11 | | | | | |
| 7 | საზოგადოებათმცოდნეობა | 11 | | | | | |
| 8 | გეოგრაფია | 5, 6, 7, 9 | 8 | | | | |
| 9 | ბიოლოგია | 5, 6, 8, 10, 11 | 7 | | | | |
| 10 | ფიზიკა | 6,7 | 8 | 9 | 10 | 11 | |
| 11 | ასტრონომია | 11 | | | | | |
| 12 | ხაზვა | 7, 9 | 10 | | | | |
| 13 | ქიმია | 7, 8, 11 | 9 | 10 | | | |
| 14 | უცხოური ენები (ფაკულტატიური) | 9 | 10 | 11 | | | |

ბ) **შენიშვნა:** 1970/71 სასწავლო წლიდან ბიოლოგიის პროგრამა, რომელიც ისწავლებოდა მე-11 კლასში, შეისწავლება მე-10 კლასიდან.

**საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1970 წელი, 6 მარტი.

მოისმინეს და განიხილეს რა გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორის ამხ. ნ. დ. შველიძის მოხსენება გაზეთის 1969 წლის მუშაობისა და 1970 წლისათვის მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებათა შესახებ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ „სახალხო განათლებამ" განვლილ, 1969 წელს ფართოდ და საინტერესოდ გააშუქა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობა, გაზეთი ეხმარებოდა სკოლების, სახალხო განათლების ორგანოების, სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს განათლების დარგში პარტიისა და მთავრობის საპროგრამო დოკუმენტების განსახორციელებლად.

თავის ფურცლებზე გაზეთი უმთავრეს ყურადღებას აპყრობდა მასწავლებელთა იდეურ-თეორიული და პროგრესიული მომზადების ამაღლების საკითხებს, აშუქებდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფის, ცოდნის ხარისხის ამაღლებისა და ამ გზით მეორეწლიანობის თავიდან აცილების მნიშვნელოვან პრობლემებს; ყოველმხრივ აშუქებდა სწავლების ახალ შინაარსზე გადასვლის საკითხებს, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სოფლის სკოლას; ხელს უწყობდა მასწავლებელთა მომზადების სრულყოფას პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში;

აქვეყნებდა სტატიებს სახალხო განათლების ორგანოებსა და დაწესებულებებში ლენინური სტილის დასანერგად, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

გაზეთმა ფართოდ უჩვენა სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის გაჩაღებული მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით კი საინიციატივო სასკოლო მშენებლობა, მკაფიოდ ასახა ამ მხრივ მოწინავე რაიონებისა და ცალკეული კოლექტივების დადებითი გამოცდილება. ამავე დროს მან თავისი საგუშაგოების საშუალებით უზრუნველყო კრიტიკული სიგნალების, რეიდების გამოქვეყნება სასკოლო მშენებლობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა დასაძლევად.

ამასთან „სახალხო განათლებას“ მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანიც.

უპირველეს ყოვლისა, გაზეთში მთელი სიღრმით არ არის ასახული სკოლის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების მიმდინარეობა. ლენინური თემატიკის გაშუქებისას გვხვდება აღწერითი, ზერელე, საილუსტრაციო ხასიათის მასალები, რომლებიც მოკლებულია ღრმა ანალიზსა და პრაქტიკულ განზოგადებას. გაზეთი ჯეროვნად არ ამობილიზებს პედაგოგიურ კადრებს საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილებათა, ბრძანებებისა და მითითებების შესასრულებლად.

გაზეთში გამოქვეყნებული ზოგიერთი მასალა წმინდა ფსიქოლოგიურ-საცნობარო ხასიათისაა. ყოველთვის საქმის ცოდნითა და მაღალ-კვალიფიციური დონით როდი გამოირჩევა მასალები სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ. ზოგ შემთხვევაში დარღვეულია წერილების გამოქვეყნების თემატიკური თანმიმდევრობა, გათვალისწინებული არ არის რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეების გაშუქების გეოგრაფიაც. იკლო მასალებმა პედაგოგიური ეთიკის შესახებ. რედაქცია ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ მუშაობს მკითხველთა ინტერესების, მოთხოვნილებისა და წინადადებების შესასწავლად.

საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულების

მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძირითადად მოწონებულ იქნეს გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციის მუშაობის მიმართულება 1970 წლისათვის.

2. თავის პრაქტიკულ მუშაობაში რედაქციამ გაითვალისწინოს კოლეგიისა და პრეზიდიუმის მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1970 წ. 6/III

**მოსწავლეთა საწარმოო ექსკურსიების ჩატარების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

მოსწავლეთა საწარმოო ექსკურსიების ჩატარების ღონისძიებათა შემდგომი გაუმჯობესების მიზნით პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს პროფკავშირთა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, განათლების სამინისტროებს, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, საექსკურსიო და ტურიზმის საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელ საბჭოებთან და სამეურნეო ორგანოებთან ერთად კონკრეტული ღონისძიებები განახორციელონ სამრეწველო დაწესებულებებში მოსწავლეთა საწარმოო ექსკურსიების ორგანიზაციისათვის; იზრუნონ ქალაქებისა და რაიონების სამრეწველო, სატრანსპორტო, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებსა და მშენებლობებზე მოსწავლეთა ექსკურსიების მოწყობისათვის.

2. დაევალოს განათლების სამინისტროებს, ოლქის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალკკ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ტურისტულ და საექსკურსიო საბჭოებთან ერთად შეიმუშაონ მოსწავლეთა საწარმოო ექსკურსიების თემატიკა;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო პროგრამების მიხედვით გათვალისწინებული ექსკურსიების მინიმუმის შესრულებას, კომპლექსური ექსკურსიების გაფართოებასა და ორგანიზაციას;

— ექსკურსიები უნდა ითვალისწინებდეს წარმოება-დაწესებულებათა ტექნიკური პროცესის, ახალი ტექნიკის, შრომის ორგანიზაციისა და საწარმოო დისციპლინის ელემენტარული წესების გაცნობას.

— ექსკურსიების ჩატარებისას ფართოდ გამოიყენონ მხარეთმცოდნეობისა და საწარმოთა ისტორიის ამსახველი მუზეუმების და სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენები;

— წინასწარ შეადგინონ საწარმოო ექსკურსიების ჩატარების გეგმა-გრაფიკი;

— ექსკურსიების მომზადების და ჩატარებისას იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს 1969 წლის 2 ოქტომბრის № 1/1743 ცირკულარული წერილით.

3. სახალხო განათლების ორგანოებმა, კომკავშირის საოლქო, საქალაქო, და რაიონულმა კომიტეტებმა პროფკავშირთა საბჭოებმა და კომიტეტებმა, ტურიზმისა და საექსკურსიო საბჭოებმა სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად ექსკურსიების ჩატარებისათვის მიიზიდონ გამოცდილი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, წარმოების წამყვანი სპეციალისტები, შრომის მოწინავენი, ნოვატორები, წარმოების ვეტერანები, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივისტები.

საწარმოო ექსკურსიების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით მოაწყონ მათთვის პრაქტიკული და მეთოდური სემინარები.

4. წინადადება მიეცეს განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს:

— შეიმუშაოს საწარმოო ექსკურსიების ჩატარების მეთოდიკა; გააძლიერონ კონტროლი ექსკურსიების მომზადებასა და ჩატარებაზე;

— პრაქტიკაში დანერგონ არდადეგების პერიოდში ქალაქის სკოლების მოსწავლეებისათვის ექსკურსიები, სოფლად სასოფლო-

სამეურნეო დაწესებულებათა გაცნობის მიზნით და პირიქით — სოფლის სკოლების მოსწავლეებისათვის ქალაქის სამრეწველო ორგანიზაციებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხვადასხვა ქალაქების ისტორიულ და რევოლუციურ ადგილებში ექსკურსიების ორგანიზაციისათვის გაითვალისწინონ აგრეთვე საწარმოო ექსკურსიების ჩატარება.

საქართველოს პროფსაბჭოს
თავმჯდომარე **შ. კიკნაძე**

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი **რ. მეტრეველი**

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 12 მარტის ბრძანება № 135

### ქ. ჭიათურის განათლების განყოფილებისა და ზოგიერთი სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ქ. ჭიათურის სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს, რომლის გამოსწორების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

ქ. ჭიათურის განათლების განყოფილებამ (გამგე გ. ცხადიაშვილი):

ა) სკოლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათი განიხილოს სახალხო განათლების საბჭოსა და ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი აღნიშნულ მოხსენებით ბარათში მითითებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) 20 მარტამდე წარმოადგინოს განათლების სამინისტროში დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათი ქალაქის სკოლებში მოსწავლეთა მოძრაობის და საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღოს სკოლებში მოსწავლეთა აკადემიური მომზადების დონის ასამაღლებლად, რადიკალურად გააუმჯობესოს მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეთა შორის;

დ) არსებითად გააუმჯობესოს მუშაობა მასწავლებელთა შორის ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით;

ე) პირველ რიგში უზრუნველყოს სანიმუშოდ იმ საშუალო სკოლის სასწავლო კაბინეტის მოწყობა ტიპიური სიით გათვალის-

წინებული მოწყობილობით, სადაც ტარდება ქალაქის მასწავლე-
ბელთა შეკრებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადების საქმეში მასწავლებ-ლეთა მასობრივად ჩაბმისა და ინტერესის აღძვრის მიზნით ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოაწყონ კონკურსი საუკეთესო თვითნაკეთ ხელსაწყოებზე;

ზ) არ დაუშვას ცენტრალიზებული წესით მიღებული სასწავლო მოწყობილობების განაწილება, ისე რომ არ იქნეს შესწავლილი სკოლის ნამდვილი მოთხოვნილება, ასევე არ დაუშვას რვაწლიან სკოლებზე ისეთი ხელსაწყოების განაწილება, რომელიც საშუალო სკოლების უფროს კლასებისათვის არის გათვალისწინებული;

თ) სასწავლო წლის. ბოლოს შეისწავლოს მოხსენებით ბარათში აღნიშნული სუსტად მომუშავე სკოლების ხელმძღვანელების და მასწავლებლების მუშაობა და გაატაროს საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე. მიაღწიონ იმას, რომ თვითეული მასწავლებელი საფუძვლიანად ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის და მაქსიმალურად იყენებდეს სასკოლო ექსპერიმენტის ჩასატარებლად იმ სასწავლო მატერიალურ ბაზას, რომელიც გააჩნია სკოლას სასწავლო კაბინეტებში: სწავლებაში ფართოდ იყენებდნენ მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას. განუწყვეტლივ იმაღლებდნენ თავიანთ მეცნიერულ-თეორიულ დონეს. უფრო სრულყოფილს ხდიდნენ თავიანთ პედაგოგიურ ოსტატობას.

ბ) მკაცრი კონტროლი დააწესონ კაბინეტების სასწავლო მოწყობილობის დაცვაზე, აღრიცხვაზე, შენახვაზე, გამოყენებასა და შევსებაზე;

გ) მეტი ყურადღება დაუთმონ სკოლაში ტექნიკური წრეების მუშაობას, აღმოუჩინონ მათ მატერიალური და ტექნიკური დახმარება. მიაღწიონ იმას, რომ ტექნიკურ წრეებში პირველ რიგში მზადდებოდეს სკოლის სასწავლო კაბინეტებ სათვის საჭირო მოწყობილობა;

დ) მკაცრად მოთხოვონ მასწავლებლებს დაიცვან შეფასების დადგენილი ნორმები;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათემატიკაში სათანადო სიძნელის მაგალითებისა და ამოცანების ამო-

ხსნაზე ვარჯიშს; ფიზიკა ქიმიაში ექსპერიმენტულ, გრაფიკულ და კითხვა-ამოცანების (თვისობრივი ამოცანების), კომბინატორული ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს; დადგენილი რაოდენობით ჩაატა-რონ საკონტროლო წერები ბიოლოგიაში, ისტორიასა და გეოგრა-ფიაში.

3. ცნობად იქნას მიღებული, რომ პარტიის ჭიათურის საქა-ლაქო კომიტეტის მიერ სვერის საშუალო სკოლის დირექტორ რ. ბიწაძეს გამოცხადებული აქვს სასტიკი საყვედური.

4. ქ. ჭიათურის პირველი საშუალო სკოლის დირექტორ რ. მოდებაძეს და მეორე საშუალო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ შ. ჩუბინიძეს მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრებისათვის მიეთითოთ.

5. მოსწავლეთა არადამაკმაყოფილებელი მომზადებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს მ. გრიგალა-შვილს, თ. კვინიკაძეს (სვერის საშ. სკოლა), ლ. გველესიანს (მეო-რე საშ. სკოლა) ნ. ტაბატაძეს, დ. ჯაოშვილს (პირველი საშ. სკო-ლა); მათემატიკის მასწავლებლებს: პ. გოგილაძეს, ს. გიორგაძეს, შ. ხამაშურიძეს (მეორე საშუალო სკოლა), შ. ბიწაძეს, მ. ცუცქი-რიძეს (სვერის საშ. სკოლა), ფიზიკის მასწავლებლებს პ. ცუცქირი-ძეს, მ. ცუცქირიძეს (სვერის საშ. სკოლა); ქიმიის მასწავლებლებს თ. ცუცქირიძეს (სვერის საშ. სკოლა). ვ. ბარულაძეს (პირველი საშ. სკოლა), ისტორიის მასწავლებელ ე. ბიწაძეს (სვერის საშ. სკოლა) გეოგრაფიის მასწავლებელ მ. შერგელაშვილს (პირველი საშ. სკოლა) მიეთითოთ.

6. სკოლების სამმართველომ (აკ. ჩხიკვაძე) დააწესოს კონ-ტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 6 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ. ო. ვ. ლაშქარაშვილს
სკოლების სამმართველოს

# მოხსენებითი ბარათი

## ქ. ჭიათურის სახალხო განათლების განყოფილებისა და ზოგიერთი სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლების სამმართველოს ბრიგადამ სასკოლო ინსპექტორების, შ. ლომიძის (ხელმძღვანელი), ი. წოწონავას, ვ. დვოროკოვსკის, მეთოდისტ ზ. ჩხობაძის და პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების ა. ფარჯანაძის, გ. სანაძის და დ. კომლაძის შემადგენლობით 1970 წლის 4-დან 8 თებერვლამდე შეისწავლა ქ. ჭიათურის სახალხო განათლების განყოფილებისა და ზოგიერთი სკოლის მუშაობა.

სახალხო განათლების განყოფილება და პედაგოგიური კაბინეტი დაკომპლექტებულია სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე მუშაკებით, სპეციალობის მიხედვით ისინი სწორად არიან შერჩეული—განყოფილების გამგე გ. ცხადიაშვილი ისტორიკოსია, ინსპექტორები: პ. ბიწაძე—მათემატიკოსია, პ. ასანიძე—ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, გ. კაპანაძე—რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალიატი, შ. ცუცქირიძე—ფიზკულტურის სპეციალისტია, კაბინეტის გამგე ნ. რობაქიძე ფიზიკოსია, მეთოდისტები: გ. წერეთელი—ბიოლოგი, ბ. სახეჩიძე—ისტორიკოსი.

სახალხო განათლების განყოფილება სისტემატურად სწავლობს სკოლებში სასწავლო აღმზრდელობით მუშაობას. მიმდინარე სასწავლო წელს შესწავლილი აქვს 31 საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლების მუშაობა და გატარებულია კონკრეტული ღონისძიება შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ზოგჯერ რამოდენიმე სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგები განხილულია განათლების საბჭოს სხდომებზე და განზოგადებული ბრძანებები დაგზავნილია ყველა

სკოლისადმი. სახალხო განათლების განყოფილება პერიოდულად ახდენს სკოლებზე მიცემული მითითებების შესრულების შემოწმებას.

დიდი მუშაობაა გაწეული სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. უკანასკნელი წლების განმავლობაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ზოდის, ხრეითის, ქვაციხის, მღარო 32-ზე, ქალაქის მუშა-ახალგაზრდობის, მე-5, ვაჭევისის, პერევისის, ნიგოზეთის საშუალო, წირქვალის, ღვითორის, ზედუბნის, მორძგვეთის, მერევის რვაწლიანი, მელუშეთის, ხრეითის, კილაურის, ჩხირაულის დაწყებითი სკოლების ტიპიური შენობები. დიდი უმრავლესობა სკოლებისა გაშენდა ადგილობრივი სახსრებით, მარგანტრესტისა (მმართველი ლ. გოშხეთელიანი) და კოლმეურნეობების საშუალებებით. არსებულ სასკოლო შენობებს მიუშენდა 120-მდე საკლასო ოთახი.

მიმდინარე 1969—1970 სასწავლო წელში კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის შეძენილი იქნა 5233 მან. 83 კაპიკის ღირებულების ხელსაწყო-იარაღები, 5907 მანეთის ღირებულების სასწავლო სახელოსნოების იარაღ-მოწყობილობა, 5848 მან. სპორტინვენტარი.

რიგი ღონისძიებები ხორციელდება საყოველთაო რვაწლიანი განათლების კანონის შესრულებისათვის. მიუხედავად ამისა, დიდია ქალაქის სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. 1968—1969 სასწავლო წელს, რაიონის სკოლებიდან გასულია სულ 497 ბავშვი, მათ შორის გავიდა რესპუბლიკის ფარგლებ გარეთ 30, გადავიდა პროფტექნიკურ სასწავლებელში—126, ტექნიკუმებში—31, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—170, სხვადასხვა მიზეზების გამო გავიდა სკოლიდან 126 მოსწავლე.

სუსტად მიმდინარეობს ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლისათვის მზადება. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს მიერ არაერთი სახელმძღვანელო დოკუმენტი გაიგზავნა ადგილებზე, ახალ სასწავლო გეგმებზე გადასვლის გრაფიკი ზოგიერთი სკოლის დირექტორმაც კი არ იცის.

მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ქ. ჭიათურის I-ლი და II საშუალო სკოლების V და VI კლასების (მასწავლებლები ნ. გურული, ლ. ფიცხალაური და ნ. კაპანაძე) მოსწავლეებმა. ამ კლასების მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად მეტყველებენ, ტექსტის შინაარს კარგად გადმოსცემენ, ადგენენ ნაწარმოების გეგმას და შეუძლიათ პერსონაჟთა თავგადასავლისა და დახასიათების გადმოცემა.

შემოწმებულ ყველა სკოლაში სრულდება წერის ნორმები.

მიუხედავად ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ქართული ენის გრამატიკაში სოფ. სვერისა და ჭიათურის II საშუალო სკოლის VII და VIII კლასების (მასწავლებლები შ. გრიგალაშვილი და ლ. გველესიანი) მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია. სოფ. სვერის VII კლასის მოსწავლეთა მეტყველება არადამაკმაყოფილებელია. მასწავლებელი შ. გრიგალაშვილი უმაღლესდაუმთავრებელია, მან ახალი გაკვეთილი ახსნა არასრულყოფილად, ასე, მაგალითად, „დროის გარემოების“ კითხვებიდან ახსნა მხოლოდ „როდის“. მაგრამ მოწაფეებს საშინაო დავალება მისცა ყველა კითხვაზე (რამდენ ხანს? რამდენი ხნიდან? სანამდე?) მოეძებნათ მაგალითები ლიტერატურულ ნაწარმოებში. მასწავლებელს სჭირდება მეთოდური დახელოვნება. ჭიათურის II საშუალო სკოლის VIII კლასში მოსწავლეებმა სუსტად იციან წინა კლასში შესწავლილი მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები.

ქართულ ლიტერატურაში მოსწავლეთა ცოდნა არადამაკმაყოფილებელია სოფ. სვერის და ჭიათურის I-ლი საშუალო სკოლების IX და VII კლასებში (მასწავლებლები თ. კვინიკაძე, დ. ჯაოშვილი და ნ. ტაბატაძე) სვერის სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან ნაწარმოების შინაარსი და საზეპირო ადგილები, ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ჭიათურის I-ლი საშუალო სკოლის VII და IX კლასებში. ამ სკოლის VII კლასის მოსწავლეებს არ აქვთ ჩვევები მხატვრული მეტყველების და ტექსტის გეგმის შედგენისა. არ იცნობენ სრულყოფილად ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიას. ლიტერატურული ნაწარმოებები არასრულყოფილად ისწავლება ამ სკოლის IX კლასში, მოსწავლეებმა ვერ უპასუხეს, თუ ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“ რატომ ადარებს თერგს ბაირონსა და მყინვარს გოეთეს. მასწავლებელმა ნ. ტაბატაძემ ახსნა გაკვეთილი „აკაკი წერეთლის ბიოგრაფია“, მაგრამ ძალზე მარტივად, მხოლოდ ცნობების მიწოდებით დაკმაყოფილდა, მაშინ, როდესაც ამ კლასში პროგრამით გათვალისწინებულია ბიოგრაფიის სწავლების დროს გაირკვეს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა.

შესწავლილ სკოლებში დაბალია წერის კულტურა. ჭიათურის I-სა და II საშუალო სკოლების X კლასებში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონე გამოავლინეს; მაგალითად, I-ლი საშუალო სკოლის X კლასის (მასწ. ნ. ტა-

ბატაძე) 18 მოსწავლემ წერა თემა „ბარათაშვილის ოჯახის აწიოკება“ (მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელიდან“), რომელიც წინა დღეს ჰქონდათ გაკვეთილად, მაგრამ 9 მოსწავლემ არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო, ხოლო 9-მ დამაკმაყოფილებელი, ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი II საშუალო სკოლის X კლასში (მასწ. შ. ჩუბინიძე). ამ კლასში მასწავლებელმა მისცა საწერად ის საკითხი, რომელიც იმავე დღეს ჰქონდათ გაკვეთილად: „ჩამოგდებული ნამგალა მთვარე“ (მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელიდან“). წერის დროს გამოირკვა, რომ რომანის ეს ეპიზოდი წაკითხული არ ჰქონდა 6 მოსწავლეს, რომლებსაც კალმისტრები მერხებზე დასდეს და გავიდნენ, ხოლო 4-მა მოსწავლემ მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასება. ამგვარად, 22 მოსწავლიდან მასწავლებლის მიერ ცუდი („1“) და არადამაკმაყოფილებელი („2“) ნიშნით შეფასებული იქნა 10 მოსწავლის ნამუშევარი.

ზოგჯერ მასწავლებლები მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნაშრომებს ასწორებენ, მაგრამ ნიშნით არ აფასებენ, ასეთ ფაქტს ადგილი აქვს სოფ. საშ. სვერის სკოლის VI კლასში (მასწ. თ. კვინიკაძე). აგრეთვე შეინიშნება მოსწავლეთა ნამუშევრების ლიბერალურად შეფასების მაგალითები, როგორიცაა ქ. ჭიათურის I-ლი საშუალო სკოლის VII[2] კლასის მოსწავლის ნამუშევარში მასწავლებელ დ. ჯაოშვილს შეუნიშნავს 15-ზე მეტი შეცდომა და შეუფასებია ნიშნით— „4“-ზე. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი II საშუალო სკოლის VIII[3] კლასის მოსწავლის ნამუშევარში, რომელშიაც მასწავლებელს შეუნიშნავს 13 შეცდომა და შეუფასებია კარგი ნიშნით.

შესწავლილ სკოლებში მოსწავლეთა საგნობრივი აკადემიური წრეები და მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებანი არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. გეგმები ზოგადია. არ წარმოებს სკოლებში მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება და არ იკითხება თეორიულ-მეთოდური ხასიათის მოხსენებები. მოსწავლეთა აკადემიურ წრეებში ნაკლებად იხილება ახლად გამოსული წიგნები, და არ ექცევა ყურადღება მოსწავლეთა მიერ მხატვრულ ნაწარმოებთა გარჩევას.

კარგად აქვთ დაყენებული რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელ ზ. აზიევას და II საშუალო სკოლის მასწავლებელ ვ. კრიცკაიას, ისინი მაღალ დონეზე და მეთოდურად გამართულ გაკვეთილებს ატარებენ, ზუსტად და გასაგებად გადასცემენ ახალ მასალას და ახერხებენ მის

განმტკიცებას, საჭირო ყურადღებას აქცევენ ლექსიკურ მუშაობას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს. მოსწავლეებს გავლილი საპროგრამო მასალის დამაკმაყოფილებელი ცოდნა გააჩნიათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასევე კარგად მუშაობს მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელი ტ. ლაბაძე.

პირველი საშუალო სკოლის-რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი დ. ჩარგეიშვილი, სპეციალობით ისტორიკოსი, ცდილობს, ბევრს მუშაობს, მაგრამ არ ყოფნის მეთოდური გამოცდილება, გაკვეთილებს ერთფეროვნად ატარებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს გავლილი საპროგრამო მასალის განმეორებას, მე-5 კლასის მოსწავლეებმა ჯერ კიდევ არ იციან ალფაბეტი, მასწავლებელი ნაკლებად მუშაობს მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების განვითარებისათვის. ფრონტალური კითხვების დროს მოსწავლეებს მთლიანად ვერ აბამს მუშაობაში.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება ამავე სკოლის მასწავლებლის ნ. ფარქოსაძის მუშაობა.

მეორე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მასწავლებელი დ. ბიწაძე გაკვეთილს ცოცხლად ატარებს, მან გადასცა დიდი და მრავალფეროვანი მასალა, მოსწავლეები ზუსტად კითხულობენ, შესწავლილი ლექსები და იგავები კარგად იციან ზეპირად, მაგრამ მასწავლებელი ნაკლებად მუშაობს მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების განვითარებისათვის, მოსწავლეებს არ შეუძლიათ მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა. მასწავლებელი ზოგჯერ არა მარტო გაკვეთილებზე უშვებს ორთოგრაფიულ შეცდომებს, არამედ გაკვეთილის გეგმებშიაც.

ამავე სკოლის VII კლასის დამწყები მასწავლებელი ჯაფარიძე საჭიროებს მეთოდურ დახელოვნებას, კვალიფიკაციის ამაღლებას.

ვერ ფლობს რუსულ ენასა და ლიტერატურას და მისი სწავლების მეთოდებს სვერის საშ. სკოლის მასწავლებელი გ. ტალახაძე, იგი უფერულად ატარებს გაკვეთილს, მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი მასალა, არ შეუძლიათ გადმოსცენ თავისი აზრი, სიტყვებს სწავლობენ ცალ-ცალკე, და არა ფრაზებში, სისტემატურად არ ადგენენ ალფაბეტურ და თემატურ ლექსიკონებს,

ამავე სკოლის მასწავლებელი დ. ფხალაძე არ კითხულობს მეთოდურ ლიტერატურას, სათანადოდ არ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის და დაბალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე ატა-

რებს მას, მეცხრე კლასში გაკვეთილზე ახალი მასალა ახსნა მოსწავლეთა მონაწილეობის გარეშე, არ ჩაატარა ლექსიკური მუშაობა, არ გამოიყენა თვალსაჩინოება, არასწორად ახდენს გადაცემული მასალის განმტკიცებას, საშინაო დავალების მთელი ტექსტი დაფიდან გადააწერინა რვეულებში.

კარგად მუშაობს ქ. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი გ. კაპანაძე. იგი გულდასმით ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის. ოსტატურად და მოხდენილად გადასცემს მასალას, რეგულარულადავარჯიშებს მოსწავლეებს საკმაო სიძნელის ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნაზე. მოსწავლეები საფუძვლიანად და შეგნებულად ფლობენ საპროგრამო მასალას, რაც ნათლად გამოჩნდა X კლასში ჩატარებული საკონტროლო წერის დროს. მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ მიცემული ამოცანა და მაგალითები დამოუკიდებლად ამოხსნეს და მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს.

ასევე კარგად მუშაობს I-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. დანგაძე მან VIII კლასის მოსწავლეებს კარგად გააცნო პირველი ხარისხის ორუცნობიან განტოლებათა ამოხსნის, ჩასმის ხერხი, მთელი კლასი ჩაბმული იყო მუშაობაში. მოსწავლეებმა ახალი მასალა კარგად გაიგეს და გავლილი მასალის სათანადო ცოდნა გამოამჟღავნეს.

საგანს კარგად ფლობს ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი პ. გოგოლაძე. X კლასის მოსწავლეთა უმრავლესობა ზეპირი გამოკითხვისას დამაკმაყოფილებელ მომზადებას ამჟღავნებს, მაგრამ მასწავლებელი საკმაოდ არ ამუშავებს მოსწავლეებს სათანადო სიძნელის ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნაზე. მოსწავლეებმა საკონტროლო წერის დროს არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს.

მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს ატარებს IV და VIII კლასების მასწავლებელი ს. გიორგაძე. იგი თეორემას ამტკიცებს ლექციური მეთოდით, რომელსაც ანდომებს დიდ დროს და ახალი მასალის განმტკიცებას ველარ ასწრებს. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მასწავლებელი შ. ხამაშურიძე მან VII კლასში სამკუთხედის ფართობის ფორმულის გამოყვანა ახსნა ლექციური მეთოდით, ისე, რომ მოსწავლეები სრულებით არ იყვნენ ჩაბმული მუშაობაში და სწორედ იმიტომ, რომ მოსწავლეებს ვერ აბამს მუშაობაში, მოსწავლეები გავლილი საპროგრამო მასალის სუსტ ცოდნას

ამჟღავნებენ, ისინი დასმულ კითხვებზე არაზუსტ პასუხს იძლევიან.

სვერის საშუალო სკოლის VIII—X კლასებს ასწავლ[illegible]წყები მასწავლებელი ს. ბრეგვაძე, რომელიც ფლობს საგანს, მაგრამ საჭიროებს მეთოდურ დახელოვნებას. მან მე-10 კლასში წინა მასალის გამოკითხვის შემდეგ თვითონ, დაფაზე ამოხსნა ამოცანა. მოსწავლეები იწერდნენ დაფიდან მექანიკურად და არ ესმოდათ საიდან რა გამოდიოდა. ამგვარად, მასწავლებელი ხსნის ახალ მასალას, მოსწავლეები მხოლოდ უსმენენ და გაკვეთილის მსვლელობაში აქტიურად არ არიან ჩაბმული. დასმულ საკითხებზე მოსწავლეებმა ვერ გამოამჟღავნეს დამაკმაყოფილებელი ცოდნა. ასეთივე ნაკლოვანებებით ხასიათდება ამავე სკოლის მასწავლებლების შ. ბიწაძისა და მ. ცუცქირიძის მუშაობა.

შემოწმებული სკოლების მასწავლებლებს საპროგრამო მასალის გავლაში ჩამორჩენა არ აქვთ. საკონტროლო წერის ნორმები და სახეები შესრულებული აქვთ. გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება მეთოდგაერთიანების მუშაობა. აქ წაკითხული მოხსენებები ზოგადია. მასში არ ჩანს მასწავლებლის პირადი გამოცდილება.

ქ. ჭიათურის 1-ლი საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელ ლ. მანდარიას დანერგილი აქვს ჩვევა თხრობის დროს აღადგინონ ის ცდები, რომლებიც წინა გაკვეთილზე იყო ჩატარებული. საშინაო დავალების „ინდუქციური დენის“ გამოკითხვისას გამოძახებულმა მოსწავლეებმა თავისუფლად, მასწავლებლის დაუხმარებლად ააწყვეს დადგმულობა და ჩაატარეს ცდები—ინდუქციური დენის მიღება კოჭაში მაგნიტის მოძრაობის დროს და ინდუქციური დენის მიღება კოჭაში დენის ჩართვისა და გამორთვის დროს.

ახალ მასალაზე შეგნებულად გადასვლისათვის მასწავლებელი ეყრდნობა წინად შესწავლილი მასალის ცოდნას. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საქმის ღრმად და საფუძვლიანად ათვისებას.

ახალი მასალა—ცვლადი დენის გენერატორი მასწავლებელმა გასგებად ახსნა მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით და შესაბამისი ცდების დემონსტრაციით; ნაჩვენები იყო მაგნიტურ ველში ჩარჩოს ბრუნვის დროს დენის, როგორც მიმართულების ასევე სიდიდის ცვლილება. კარგად იქნა ახსნილი ცვლადი დენის ტექნიკური გენერატორების აგებულება და გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი თავისი კეთილსინდისიერი მუშაობით, მომზიდველი თხრობით, სწავლების მეთოდების სწორი მონაცვლეობით ყოველთვის აღწევს იმას, რომ მოსწავლეები დიდი მონდომებით და სიყვარულით ეუფლებიან იმ მასალას, რომელსაც მასწავლებელი გადასცემს მათ.

ასევე კარგად მუშაობს ამავე სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ვ. მასხარაშვილი.

მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებლები მ. შალიკიანი და ნ. კაპანაძე სისტემატურად მუშაობენ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფაზე. ისინი მაქსიმალურად იყენებენ ფიზიკის კაბინეტის შესაძლებლობას, მომზადებულად ატარებენ სადემონსტრაციო ცდებს. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისას არ კმაყოფილდებიან უკანასკნელად ახსნილი გაკვეთილის მასალით. ახალ მასალასთან ერთად სისტემატურად მოითხოვენ გავლილი საპროგრამო მასალის საფუძვლიან ცოდნას. მასწავლებლები თხრობას აწარმოებენ მიმზიდველად, სწორი და დახვეწილი ენით. ასევე მტკიცედ მოითხოვენ მოსწავლეებისაგან, რომ მათი პასუხები იყოს ენობრივად გამართული, სრული და ამომწურავი.

VII² კლასის (მასწ. ნ. კაპანაძე) და X² კლასის (მასწ. მ. შალიკიანი) მოსწავლეებმა გამოავლინეს საპროგრამო მასალის საფუძვლიანი ცოდნა.

იგივე არ ითქმის ამავე სკოლის IX კლასებზე. მოსწავლეები კარგად გამოთქვამდნენ ნიუტონის მე-3 კანონს, მაგრამ ზოგიერთმა მოსწავლემ (როგორც IX¹, ასევე IX³ კლასებში) ვერ შეძლო სწორი პასუხი გაეცა კითხვაზე—თუ რატომ ვარდება ქვა დედამიწაზე. ზოგიერთმა კი ასე უპასუხა: „ქვა იმიტომ ვარდება დედამიწაზე, რომ დედამიწა მეტი ძალით იზიდავს ქვასო“.

მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა სწორი პასუხი ვერ გასცა კითხვაზე—სადემონსტრაციო მაგიდა ერთ შემთხვევაში გავასრიალეთ იატაკზე 5 მეტრ მანძილზე, მეორე შემთხვევაში ავწიეთ ვერტიკალურად ზევით 5 მეტრზე, როდის უნდა შევასრულოთ მეტი მუშაობა? ასევე გაუძნელდათ გრავიტაციული მუდმივის რიცხვითი მნიშვნელობის დადგენა საერთაშორისო სისტემაში. მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა ვერ შესძლო ფიზიკური სიდიდეების საზომი ერთეულების განსაზღვრა.

სვერის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლები პ. ცუც-ქირიძე და მ. ცუცქირიძე სერიოზულად არ მუშაობენ [illegible]-ზე, ამით უნდა აიხსნას ის, რომ მოსწავლეთა მომზადება ფიზიკაში დაბალია. მე-10 კლასის (მასწავლებელი მ. ცუცქირიძე) მოსწავ-ლეთა უმრავლესობამ ვერ შეძლო დაემყარებინა დამოკიდებულება ტრანსფორმატორის დატვირთვის დენებსა და ხვეულების რიცხვს შორის, ასევე გაუძნელდათ დაესახელებინათ CG SEდა Si სისტე-მების ძირითადი ერთეულები. რიგ შემთხვევებში ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან ძირითად და წარმოებულ ერთეულებს. საზომი ერთეულების—ამპერი, ვოლტი, ომი, ფარადი, ჯოული და ვატის განსაზღვრაც კი გაუძნელდათ. 4 თებერვლამდე არც ერთი საკონ-ტროლო სამუშაო არ იყო ჩატარებული. ეს ხდება იმ კლასში სა-დაც ასწავლის მასწავლებელი პ. ცუცქირიძე, რომელსაც დამთავ-რებული აქვს უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, გააჩნია საგნის ცოდნა და უნარი უკეთესად ასწავლიდეს საგანს.

VIII² კლასის (მასწ. მ. ცუცქირიძე) მოსწავლეთა დიდი ნა-წილი ვერ პასუხობს მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე, რის გამო მასწავლებელი იძულებული ხდება თვით გასცეს პასუხი. გაკვეთილზე დაფაზე ამოხსნილი იქნა მასწავლებლის დახმარებით ორი ადვილი ამოცანა. მასწავლებელმა ყოველგვარი მითითების გარეშე სახლში ამოსახსნელად მოსწავლეებს მისცა ოთხი ამოცანა. ნაწილი ამოცანებისა, უფრო ძნელი არის, ვიდრე ის ამოცანები, რომლებიც მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებითაც კი ვერ ამოხსნეს.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქიმიაში სვერის საშუალო სკოლის IX—X კლასების მოსწავლეებმა. მასწავლებელი თ. ცუცქი-რიძე არ ატარებს საკონტროლო წერებს, არ აქვთ ქიმიის კაბინე-ტი და არ ტარდება არავითარი სახის სადემონსტრაციო ცდები, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები. ქიმიის სწავლება ზეპირსიტყვიერად—დაფითა და ცარცით სწარმოებს.

IX და X კლასების მოსწავლეებმა ვერ შესძლეს წერისათვის შერჩეული საშუალო სიძნელის საკითხებზე პასუხის გაცემა და მარტივი სახის ამოცანის ამოხსნა.

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქ. ჭიათურის პირვე-ლი საშუალო სკოლის VII—VIII და IX კლასების მოსწავლეებმა. VII კლასში დაბალი ნიშნებით შეფასდა მოსწავლეთა წერითი ნა-მუშევრები ქიმიაში. საგულისხმოა, რომ წერითი ნამუშევრების

გასწორების დროს მასწავლებელმა ქ. ბარელაძემ მოსწავლის მიერ შეცდომით დაწერილი ტოლობა სპილენძსა და მარილმჟავას შორის სწორად მიიჩნია და არ გაასწორა. მან დასაშვებად [illegible] აგრეთვე თითქოს წყალბადის წარმოქმნის დროს თუთია მარილმჟავას უერთდება და სხვ. X კლასების მასწავლებელი თ. მოდებაძე ფლობს საგანს, მაგრამ იმის გამო, რომ არ აწარმოებს გავლილი საპროგრამო მასალის სისტემატურ განმეორებას, მოსწავლეებმა შემოწმებისას ქიმიაში სათანადო ცოდნა ვერ გამოავლინეს.

ქ. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი რ. მაღრაძე მთელი მონდომებითა და ენერგიით მუშაობს; მას სანიმუშოდ აქვს მოწყობილი კაბინეტი, სადაც ატარებს ყველა პრაქტიკულ ცდა-დაკვირვებებს, სკოლის ეზოში კარგად აქვს მოწყობილი სათბური. იგი მაღალხარისხოვან გაკვეთილებს ატარებს მოსწავლეებში იწვევს ბიოლოგიური მეცნიერებისადმი დიდ სიყვარულს, მოსწავლეებს პროგრამული მასალის მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა გააჩნიათ.

ქ. ჭიათურის პირველ, მეორე და სვერის საშუალო სკოლებს, რომლებსაც მრავალი წლის ისტორია აქვთ, იმის გამო, რომ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტების სასწავლო მოწყობილობით მომარაგება წინასწარ შედგენილი გეგმის გარეშე სტიქიურად სწარმოებს, დღეისათვის არ შეუძლიათ პროგრამით გათვალისწინებული არც ერთი ფრონტალური ლაბორატორიული სამუშაოსა და პრაქტიკუმის ჩატარება. მასწავლებლებმა დღემდე არ იციან კაბინეტების ტიპიური სასწავლო მოწყობილობის სიები, რომლებიც შედგენილია საშუალო და რვაწლიანი სკოლების ამჟამად მოქმედი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მიხედვით. სიების არცოდნით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ კაბინეტებში არის ხელსაწყოები, რომელთაც არავითარი გამოყენება არ აქვთ წლების განმავლობაში.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ხელსაწყოები არ არის დანომრილი და არ აქვთ მათ კარადებში მიჩნეული თავისი ადგილი. ამის გამო არ ხერხდება ცდის ჩატარების შემდეგ ხელსაწყოების დაბრუნება თავის ადგილზე. ნაკლები ყურადღება ექცევა სკოლებში თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას.

მასწავლებლები მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას ვერ ახდენენ ერთიანი მომთხოვნელობის დაცვით. ცოდნის დაახლოებით ერთნაირი დონე არაერთნაირი ნიშნით ფასდება. საკონტროლო წერი-

თი ნამუშევრების შეფასებისას ხშირად არ არის გათვალისწინებული დაშვებული შეცდომების ხასიათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანების ამოხსნისას კმაყოფილდებიან გამოთვლითი ამოცანების ამოხსნით. ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ექსპერიმენტულ, გრაფიკულ და კითხვა-ამოცანების (თვისობრივი ამოცანების) ამოხსნას. გამოთვლითი ამოცანებიდან ნაკლებად ხსნიან კომბინირებულ ამოცანებს. როგორც წესი, სკოლები ნაკლებად ატარებენ ექსკურსიებს და თუ ატარებენ, ხშირად იგი ტარდება მოუმზადებლად.

ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების შეგნებული და მკვიდრი ცოდნა გამოავლინეს პირველი საშუალო სკოლის X[1] კლასის მოსწავლეებმა სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში. მასწავლებელი ბ. დავლიანიძე მთელი მონდომებით მუშაობს, მიმზიდველად და სხარტად, გასაგებად გადასცემს მასალას. მოსწავლეებმა შეგნებულად გადმოსცეს გავლილი საპროგრამო მასალიდან—რევოლუციური კრიზისის მომწიფება რუსეთში XX საუკუნის დასაწყისში, მარქსისტული პროლეტარული პარტიის შექმნა რუსეთში, რუსეთ-იაპონიის ომი, რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი, რუსეთის რევოლუციის ხასიათი, მამოძრავებელი ძალები, რევოლუციის დამარცხების მიზეზები, მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, მეფის რუსეთის მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში, ცარიზმის დამხობა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება რუსეთში. საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური სვლა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსი, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის კურსი და სხვა საკითხები.

კარგად მუშაობს მეორე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ც. ბუბულაშვილი, VIII კლასის მოსწავლეებმა შეგნებულად იციან სსრ კავშირის ხალხთა ისტორიიდან გავლილი მასალა—რუსეთი XIX საუკუნის დასაწყისში, ცარიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ნაპოლეონის არმიის შემოჭრა რუსეთში და სამამულო ომის დასაწყისი, ნაპოლეონის არმიის განადგურება რუსეთის ჯარების მიერ. ბოროდინოს ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა, 12 ქართველი გენერლის მონაწილეობა ამ ომში. დეკაბრისტების აჯანყება და მისი ისტორიული მნიშვნელობა. დეკაბრისტების იდეების გამოძახილი საქართველოში. სოლომონ დოდაშვილი

და 1832 წლის შეთქმულება. ამგვარად მასწავლებელი მოხდენილად და ორგანულად უკავშირებს სსრ კავშირის ისტორიის შესწავლას საქართველოს ისტორიის საკითხებს და ზუსტ წარმოდგენას აძლევს ბავშვებს სამშობლოს ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ასევე კარგად მუშაობენ ამავე სკოლის მასწავლებლები გ. სახეჩიძე, რ. სვანიძე.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ პირველი საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლები შ. ხასია და გ. ვაშაძე.

სვერის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ვ. ბიწაძე სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის და დაბალ დონეზე ატარებს მას. საქართველოს ისტორიაში VII კლასის მოსწავლეებმა არ იციან, რომ საქართველო და მთელი ამიერკავკასია ადამიანთა ბინადრობის ერთ-ერთ უძველეს კერას წარმოადგენს, რომ ქართულ მიწა-წყალზე ვხვდებით პირველყოფილი ადამიანის ნაკვალევს. ერთი ფორმაციიდან მეორეზე გადასვლის ძირითადი ნიშნები და თავისებურებანი, რომ მონათმფლობელური წყობილება საქართველოში არ გასცილებია ადრემონათმფლობელურ სტადიას, ვერ ერკვევიან კოლხეთის და იბერიის სახელმწიფოების წარმტაც ისტორიაში, ქართული ფეოდალიზმის მნიშვნელოვან თავისებურებებში, ვერაფერი თქვეს ქართული სახელმწიფოს როლის შესახებ იმდროინდელ აღმოსავლეთში. ჯვაროსანთა ლაშქრობებსა და ბიზანტიის სახელმწიფოს ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით. სრულყოფილად არ იციან დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დამსახურების შესახებ ქვეყნის გაერთიანების, ეკონომიურ და კულტურულ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე.

სსრ კავშირის ისტორიაში VIII კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. მათ არ იციან 1812 წლის სამამულო ომი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თავადაზნაურული ეტაპი რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. დეკაბრისტების აჯანყება, მისი გამოძახილი საქართველოში და სხვ. საკითხები.

კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს სვერის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა საზოგადოებათმცოდნეობაში. მასწავლებელი, სკოლის დირექტორი რ. ბიწაძე ბეჯითად და ენერგიულად მუშაობს. მისაწვდომი ფორმით, სასწავლო პროგრამის შესაბამისად ისტორიაში, გეოგრაფიაში, ბიოლოგიაში, ფიზიკაში, ქიმიაში და სხვა სასწავლო საგნებში გავლილ მასალაზე დაყრდნობით, წარმო-

დგენას აძლევს მოსწავლეებს ობიექტური სამყაროს განვითარების ძირითადი კანონების შესახებ. დიდ ყურადღებას უთმობს მეცნიერული კომუნიზმის არსის, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებისა და კანონზომიერებათა, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის გაშუქებას.

მოსწავლეებმა შეგნებულად და გააზრებულად გადმოგვცეს: კარლ მარქსი და ფ. ენგელსი—მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელნი. ვ. ი. ლენინი კ. მარქსის და ფ. ენგელსის მოძღვრებისა და საქმის გამგრძელებელი, მარქსიზმ-ლენინიზმის სამი შემადგენელი ნაწილი. მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარება სკკპ და მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების მიერ. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი—მეცნიერული მსოფლმხედველობის საფუძველი. კლასები და კლასობრივი ბრძოლა. სახელმწიფოსა და სამართლის არსი. ექსპლოატატორული სახელმწიფოს ისტორიული ტიპები და ფორმები. სოციალისტური რევოლუცია. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის რევოლუციური ხასიათი. სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა ხასიათი. სოციალისტური წარმოების მიზანი. შრომა და განაწილება სოციალიზმის დროს. სასაქონლო წარმოების თავისებურებანი სოციალიზმის დროს. ერთიანი შემოსავალი და სახელმწიფო ბიუჯეტი სოციალიზმის დროს და სხვა საკითხები.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა გეოგრაფიაში. ისინი ზუსტად ვერ ასახელებენ ევროპისა და აზიის სოციალისტურ ქვეყნებს, ვერაფერს ამბობენ მსოფლიო პოლიტიკური რუკის შესახებ, მასწავლებელი მ. შერგელაშვილი უსიცოცხლოდ და უინტერესოდ ატარებს გაკვეთილებს, არ იყენებს დაფას, იგი რუკით აქვს მთლიანად დაფარული, არ აქვს საჭირო რუკები, გეოგრაფიის კაბინეტი და გეოგრაფიული მოედანი. სრულიად არ სწარმოებს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება, არ ხდება ბუნების მოვლენებზე დაკვირვება და ა. შ.

სვერის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა იციან ერთრიგად, ოთხრიგად მოწყობა, მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ სწორებას რიგებში და კისერში, სწორ ტანვამართულობას და მკლავების მდგომარეობას. მასწავლებლების მიერ დასახელებულ ვარჯიშებს მოსწავლეები სწორად ასრულებენ. ისინი სწორად განმარტავენ მწკრივს, საერთო განმავითარებელი ვარჯიშების, დაბალი და მაღალი სტარტის მნიშვნელობასა და მისი შესრულების წესებს. ამას-

თან ერთად გააჩნიათ ნაკლოვანებანიც. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს პრაქტიკაში არ აქვთ დანერგილი საშინაო დავალების მიცემა, რომელიც მოწაფეებს დაეხმარებოდა ახალი მასალის უკეთ ათვისებისა და დაძლევის მიზნით ვარჯიშების შინ დამუშავებაში, არ აძლევენ ისეთ თამაშობებს, რომელიც შეიძლება ჩატარდეს საკლასო ოთახში. მასწავლებლები შ. შეყილაძე და გ. გელაშვილი გაკვეთილებს ატარებენ სპორტული ფორმის გარეშე. სკოლას ზამთრის პერიოდში ფიზკულტურის გაკვეთილებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის ჩატარებისათვის ნორმალური პირობები არ გააჩნია. გაკვეთილები ტარდება საკლასო ოთახებში.

სკოლაში შექმნილია კალათბურთის, მძლეოსნობის, ფრენბურთის, ხელბურთის, ჭადრაკისა და შაშის სპორტული სექციები. აქედან ზამთრის პერიოდში მუშაობს მხოლოდ ჭადრაკისა და შაშის სექცია.

პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი ტ. მუმლაძე VII კლასში ყოველნაირად ცდილობს საპროგრამო მასალის გავლას, მაგრამ ძირითადი სპორტული ინვენტარის უქონლობის გამო გეგმით გათვალისწინებული მასალის გავლას ვერ ახორციელებს. მას აქვს ხარვეზები: საერთო განმავითარებელ ვარჯიშებს ატარებს ნელ ტემპში. სიარულის დროს არ იცავს ინტერვალს. მოსწავლეებს არ ეძლევა საშინაო დავალება და სხვ. სკოლაში ჩამოყალიბებულია 11 სპორტული სექცია, სადაც გაერთიანებულია 276 მოსწავლე. სპორტულ სექციებში მეცადინეობებს ატარებენ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები და ფიზორგები, აღნიშნულ სექციებს შედგენილი აქვთ სამუშაო გეგმები და მეცადინეობის ცხრილი, რომელიც არ არის დამტკიცებული სკოლის დირექტორის თ. მოდებაძის მიერ. სკოლას გააჩნია სპორტლონისძიებების კალენდარი, რის შესაბამისად ტარდება შიდასასკოლო შეჯიბრებები, შემუშავებული აქვთ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმა.

მასობრივ ფიზკულტურული გამაჯანსაღებელი სამუშაოდან 1969—1970 სასწავლო წელს ჩატარებულია ტურისტული ლაშქრობა ჭიათურა—სვერის ციხე—ჭიათურა, სადაც მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 20 მოსწავლემ.

სკოლას გააჩნია სპორტული დარბაზი, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი სპორტული ინვენტარით, აქვთ კალათბურთისა და ფრენბურთის საზაფხულო მოედნები.

მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებლები ნ. ხარშილაძე და რ. ჩხეიძე მომზადებულად ატარებენ გაკვეთილებს. გავლილი საპროგრამო მასალის ათვისება და მოსწავლეთა მომზადების დონე კარგია. მოსწავლეები გაკვეთილებზე ცხადდებიან სპორტული ფორმით. გააჩნიათ ნაკლოვანებებიც—მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომის დროს—დახტომს ასრულებენ ქუსლებზე. დაზღვევას თვით მოსწავლეები ასრულებენ და სხვ. სკოლაში ჩამოყალიბებულია 5 სპორტული სექცია 91 მოსწავლით მუშაობაც სათანადოდ არის წარმართული, ისე, როგორც პირველ სკოლაში.

შემოწმებული სკოლები მუშაობენ წლიური სამუშაო გეგმების მიხედვით, გეგმებში საკითხები სწორად არის მოცემული, მაგრამ არ არის გათვალისწინებული კონკრეტულად ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების შემოწმება კალენდარული ვადებისა და შემსრულებლის გათვალისწინებით. სასწავლო წლის მეოთხე მეოთხედისათვის არ არის გათვალისწინებული ცალკეულ საგნებში საპროგრამო მასალების გავლისა და ათვისების ხარისხის შემოწმება, ასევე არ არის გათვალისწინებული ცდების, პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების, თვალსაჩინოების გამოყენების შემოწმება ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში. წლიური გეგმების დამტკიცებას პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ფორმალური ხასიათი აქვს, არ ჩანს თუ სიტყვაში გამოსულმა მასწავლებლებმა რა წინადადება წამოაყენეს, ამგვარად გეგმა არ წარმოადგენს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის აზრის ნაყოფს.

ასევე ზოგადი და ტრაფარეტულია კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმებიც.

პედაგოგიური საბჭოების მუშაობა სწარმოებს სათანადო გეგმის მიხედვით, მაგრამ ზოგჯერ საკითხები ზოგადად არის განხილული, მაგ. მე-2 საშუალო სკოლაში მოსმენილია ქართული ენისა და ლიტერატურის, ქიმია-ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობა, ასე ზოგადი საკითხების მოსმენისას ვერ ხერხდება ყველა იმ ნაკლოვანების გამოვლინება, რომლებიც ამ საგნების სწავლების საქმეში არსებობს და არ ისახება კონკრეტული ღონისძიებანი მის გამოსასწორებლად.

პირველი (დირექტორი თ. მოდებაძე), მე-2 (დირექტორი ს. კაპანაძე), სვერის (დირექტორი—რ. ბიწაძე) საშუალო სკოლების

გაკვეთილების ცხრილი მეთოდურად არასწორად არის შედგენილი; სასწავლო დღეები ერთნაირი სიძლიერის სასწავლო დისციპლინებით არ არის დატვირთული, არის მოსწავლეთათვის იოლი და ძნელი დღეები. ერთფეროვანი საგნები ცხრილში ერთმანეთის მიყოლებით არის მოცემული. ერთ საათიანი სასწავლო დისციპლინები მე-6 გაკვეთილებად და შაბათსა და სამშაბათს არის მოცემული და სხვ.

პირველი საშუალო სკოლის დირექტორ თ. მოდებაძეს, დირექტორის მოადგილეებს სასწავლო მუშაობის დარგში ბ. დავლიანიძეს, ლ. მანდარიას, მეორე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეებს სასწავლო მუშაობის დარგში შ. ჩუბინიძესა და ც. ბუბულაშვილს, სვერის საშუალო სკოლის დირექტორს რ. ბიწაძეს მოსმენილი აქვთ მასწავლებელთა გაკვეთილები, მაგრამ ანალიზები არ არის სრულყოფილი, მასში არ ჩანს გაკვეთილის აკადემიურ-მეცნიერული, მეთოდური და იდეური მხარეები. ისინი იშვიათად ესწრებიან საკონტროლო წერის გაკვეთილებს.

სვერის (პ. ცუცქირიძე), პირველი (გ. ვაშაძე), მეორე (ო. ენუქიძე) საშუალო სკოლების ორგანიზატორები კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ ერთიანი სააღმზრდელო სისტემით მუშაობას, რომ სკოლის აღმზრდელობით მიზნებს ემსახურებოდეს აღზრდის საშუალებათა მთელი არსენალი: გაკვეთილის შინაარსი, სასწავლო მუშაობის მთელი პროცესი, სკოლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა, მოსწავლეთა კოლექტივის ცხოვრება, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მრავალფეროვანი სისტემა, ოჯახი, და სხვ. ორგანიზატორები ჯერ კიდევ არ არიან გადაქცეული მომთხოვნ, გონიერ მრჩეველ აღმზრდელებად და ხელმძღვანელებად, ვერ ჰქმნიან პედაგოგიურ კოლექტივებში შემოქმედებითი ძიების ატმოსფეროს.

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგად: მეორე საშუალო სკოლაში შეფასებული 1130 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 273, (24%) მათ შორის I—IV კლასებში ვერ ასწრებს 58 მოსწავლე. უფრო მძიმე მდგომარეობაა ცალკეულ კლასებში: VI$^{1}$ კლასში 37 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 15. VI$^{4}$ კლასში—35-დან—16, VII$^{1}$ კლასში 35-დან—15, VIII$^{3}$ კლასში ვერ ასწრებს 34 მოსწავლიდან 15 მოსწავლე.

პირველი საშუალო სკოლის 821 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 232 (28%) მათ შორის ვერ ასწრებს I—IV კლასებში 69 მოსწავლე. IV კლასებში 105-დან—40, X კლასებში 47 მოსწავლეებიდან ვერ ასწრებს 21 მოსწავლე. არადამაკმაყოფილებლად [illegible]ნებული მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობა. პირველ საშუალო სკოლაში ვერ ასწრებს 27 და მეორე საშუალო სკოლაში—27 მეორეწლიანი მოსწავლე.

შ. ლომიძე
ი. წოწონავა
ვ. დვოროკოვსკი
ზ. ჩხობაძე
ა. ფარჯანაძე
გ. ხანაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 13 მარტის ბრძანება № 139

### თბილისის მუსიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატში სამხატვრო-მეთოდური საბჭოს შექმნის შესახებ

თბილისის მუსიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს სკოლა-ინტერნატის სამხატვრო-მეთოდური საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. ობოლაძე უშანგი პლატონის ძე (თავმჯდომარე)—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე.

2. კუხიანიძე ავთანდილ ვახტანგის ძე (მოადგილე)—სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

3. გოცაძე ნათელა მიხეილის ასული (მდივანი)—სკოლა-ინტერნატის პედაგოგი.

4. გიორგაძე დავით ამბაკოს ძე—სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსის მოადგილე.

5. მუჯირი ჯიმშერ ვლადიმერის ძე—ესთეტიკური აღზრდის მეთოდკაბინეტის დირექტორი.

6. სახელაშვილი თამაზ კონსტანტინეს ძე—სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე მუსიკალური აღზრდის დარგში.

7. ლაცაბიძე ქეთევან კონსტანტინეს ასული—საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახ. რაიკომის მეორე მდივანი.

8. ბუსურაშვილი ჯემალ კონსტანტინეს ძე—პედმეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.

9. მიქაძე გუგა არჩილის ასული—პედმეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.

10. ბანძელაძე გელა დომენტის ძე—ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ექსანიშვილი ნორა გრიგოლის ასული—ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, კომპოზიტორი.

12. თათარაძე ავთანდილ არსენის ძე—ქ. თბილისის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორი.

13. ფალიაშვილი ვახტანგ ლევანის ძე ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი.

14. მრევლიშვილი მაყვალა ალექსანდრეს ასული—პოეტი.

15. ნაცვლიშვილი თემურ შალვას ძე—ტელევიზიის მთავარი რედაქტორი.

16. შელია ბაბულია აკაკის ასული—ჟურ. „პიონერის" რედაქტორი.

17. ლალიძე რევაზ ილიას ძე—ა. პუშკინის სახ. სახელმწიფო ინსტიტუტის მუსიკის კათედრის გამგე, კომპოზიტორი.

18. აბულაძე თენგიზ ვლადიმერის ძე—სკოლა-ინტერნატის ხემიანი საკრავების განყოფილების გამგე.

19. ყიფშიძე პავლე მიხეილის ძე—სკოლა-ინტერნატის სასულე განყოფილების გამგე.

II. სამხატვრო მეთოდურმა საბჭომ თავის მუშაობა წარმართოს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. საბჭოს წევრთა შეკრება ჩატარდეს საჭიროების მიხედვით, მაგრამ მეოთხედში არანაკლებ ერთისა.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 6 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების, რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების ერთობლივი

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1970 წლის 13 მარტი

## ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი „საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღი) მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციის შეძახებ“ რესპუბლიკური დათვალიერების შეჯამების შედეგებზე

ვ. ი. ლენინის იუბილესადმი მიძღვნილი რესპუბლიკური დათვალიერების შედეგად მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სკოლამდელი დაწესებულებების დასახმარებლად. დებულების შესაბამისად ადგილებზე დროულად შეიქმნა კომისიები, რომლებიც ხელს უწყობდნენ დათვალიერების მიმდინარეობას, პერიოდულად სწავლობდნენ ამ მიმართებით ჩატარებულ საქმიანობას. დათვალიერებაში ჩაბმული იყო რესპუბლიკის ყველა საბავშვო ბაღი და თითოეული მათგანი ცდილობდა მაღალი მაჩვენებლებით შეხვედროდა იუბილეს. მრავალი სკოლამდელი დაწესებულების ხელმძღვანელი სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდა მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მისი სწორად წარმართვის საქმეს. გადაჭრით გაუმჯობესდა პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლებას. ამ მიზნის განსახორციელებლად აღმზრდელები კვლავ სერიოზულ მუშაობას აგრძელებენ, რისთვისაც ფართოდ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს—პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს, მხატვრულ ლიტერატურას, ხელოვნების ნაწარმოებებს და სათანადო პედაგოგიური ხერხებით აცნობენ ბავშვებს

ვ. ი. ლენინის პიროვნებას, მის მაღალადამიანურ, კეთილშობილურ თვისებებს, ამტკიცებენ ბავშვებში სამშობლოსადმი სიყვარულის, გამბედაობის, უფროსების პატივისცემის, თავმდაბლობის, გულმართლობისა და სხვა მაღალზნეობრივ ჩვევებს.

ბევრ სკოლამდელ დაწესებულებაში გადაჭრით გაუმჯობესდა ესთეტიკური აღზრდის საქმე. ექსკურსიებისა და გასეირნების საშუალებით აცნობენ ბავშვებს მშობლიური მხარის სილამაზესა და ღირსშესანიშნავ ადგილებს, მუსიკის მეცადინეობებზე ასმენინებენ ბელადის საყვარელ და რევოლუციური ხასიათის მუსიკალურ ნაწარმოებებს. ასევე დიდი ყურადღება მიექცა შენობების ინტერიერის თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით მოწყობას. ბევრ საბავშვო ბაღში მიმზიდველად, მაღალი გემოვნებით გაფორმდა ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტენდები, წიგნების კუთხეები შეივსო ახალი ილუსტრირებული ლიტერატურით.

დათვალიერების მიმდინარეობის პერიოდში აღმზრდელთა იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიური დახელოვნების ამაღლების მიზნით ქ. ქ. თბილისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, სამტრედიის, ზესტაფონის რაიონებსა და სხვა მრავალ ქალაქსა და რაიონში ჩატარდა პედაგოგიური კითხვა, თეორიული კონფერენცია. პედაგოგიურ თათბირებზე სისტემატურად იხილებოდა სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის ორგანიზაციის, ბავშვთა ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საკითხები.

სათანადო ღონისძიებები გატარდა სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით, ჯგუფები შეივსო ახალი დგამ-ავეჯით, სათამაშოებით, სასწავლო ნივთებით, როგორც ცენტრალიზებული, ასევე საინიციატივო სახსრებით აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ა/ო-ში, ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ზუგდიდში, საგარეჯოს, სამტრედიის, მარნეულის, ცხაკაიას, მახარაძისა და სხვა რაიონებში ტიპობრივი პროექტებით აიგო სკოლამდელ დაწესებულებათა შენობები. მრავალ შენობას ჩაუტარდა კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს საშეფო ორგანიზაციებმა. მარტო ქ. თბილისში საშეფო ორგანიზაციების მიერ სკოლამდელ დაწესებულებათა რემონტებისათვის გაღებულ იქნა 144,905 მანეთი, დიდი დახმარება გაუწია № 1 რესპუბლიკურ ბაგა-ბაღს შეფმა—სამტრესტმა, გურჯაანის რაიონის ბაგა-ბაღს—გურჯაანის გაზის სამმართველომ და სამ-

ტრესტის № 2 სამშენებლო უბანმა, ზესტაფონის № 1 და № 2 ბაგა-ბაღებს—ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანამ, ლენტეხის საბავშვო ბაღს—მშენებლობის სამინისტროს მე-4 ტრესტის მე-9 სამმართველომ, ტყიბულის ბაგა-ბაღს—ტყიბულქვანახშირის ტრესტის სამშენებლო სამმართველომ. ასევე ქ. რუსთავის № 22 ბაგა-ბაღის რემონტისათვის საშეფო ორგანიზაციამ (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა) დახარჯა 7000 მანეთი. ანალოგიურ დახმარებას უწევენ სკოლამდელ დაწესებულებებს საშეფო ორგანიზაციები ქ. ქ. ჭიათურაში, ფოთში, მცხეთასა და სხვა რაიონებში. ეზოების კეთილმოწყობის საქმეში გარკვეული როლი შეასრულეს მშობელთა კომიტეტებმა, სკოლამდელი დაწესებულებებისადმი კონტროლისა და დახმარების გაძლიერების საქმეში განათლების განყოფილებას მხარში ამოუდგნენ სხვადასხვა ადგილობრივი ორგანოები.

დათვალიერების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის განსაკუთრებული მუშაობა გასწიეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საბავშვო ბაღებმა.

ამასთანავე აღსანიშნავია ნაკლიც. ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის და ზოგიერთ სხვა რაიონში სკოლამდელ დაწესებულებათა რესპუბლიკური დათვალიერება დაბალ დონეზე ჩატარდა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და პედაგოგიური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, პედაგოგიური საზოგადოების ადგილობრივმა ორგანიზაციებმა:

ა) ეს დადგენილება განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს გაფართოებულ სხდომებზე და გააცნონ სკოლამდელ მუშაკებს დათვალიერების შეჯამების შედეგები;

ბ) ხელი შეუწყონ სკოლამდელ დაწესებულებებს მუშაობის სწორად წარმართვაში, პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლებისათვის სათანადო პირობების შექმნის საქმეში.

2. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ დათვალიერებაში „საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციის შესახებ“ მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბაზო ბაგა-ბაღი;

2. № 1 რესპუბლიკური ბაგა-ბაღი;

3. № 2 რესპუბლიკური ბაგა-ბაღი;

ქ. სოხუმი: № 11 სადღეღამისო საბავშვო ბაღი;

ქ. ბათუმი: № 28 საბავშვო ბაღი;

ქ. ცხინვალი: № 10 საბავშვო ბაღი;

ქ. თბილისი: № 1 საბავშვო ბაღი, № 69 საბავშვო ბაღი; ავტომშემკეთებელი ქარხნის № 27 საბავშვო ბაღი; აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის № 8 საბავშვო ბაღი; მაუდ-კამვოლური კომბინატის № 6 საბავშვო ბაღი;

ქ. ქუთაისი: № 1 ბაგა-ბაღი, მაუდის ფაბრიკის საბავშვო ბაღი;

ქ. ფოთი: № 1 საბავშვო ბაღი;

ქ. ჭიათურა: მარგანტრესტის ბაგა-ბაღი;

ქ. რუსთავი: № 1 საბავშვო ბაღი;

ქ. გორი: № 8 საბავშვო ბაღი;

ქ. ტყიბული: № 1 ბაგა-ბაღი;

ქ. ზუგდიდი: № 16 საბავშვო ბაღი;

ამბროლაურის რაიონი; ამბროლაურის ბაგა-ბაღი;

ახალციხის რაიონი: ახალციხის № 1 საბავშვო ბაღი;

ბორჯომის რაიონი: ბორჯომის № 1 საბავშვო ბაღი:

გარდაბნის რაიონი: ვარკეთილის ბაგა-ბაღი;

გეგეჭკორის რაიონი: № 1 საბავშვო ბაღი;

გორის რაიონი: ტყვიავის ბაგა-ბაღი;

გურჯაანის რაიონი: გურჯაანის ბაგა-ბაღი;

ზესტაფონის რაიონი: ზესტაფონის № 2 ბაგა-ბაღი;

ზუგდიდის რაიონი: ცაიშის საბავშვო ბაღი;

ყაზბეგის რაიონი: ყაზბეგის № 1 საბავშვო ბაღი;

ქარელის რაიონი: ქარელის საბავშვო ბაღი;

კასპის რაიონი: ახალქალაქის საბავშვო ბაღი;

ყვარლის რაიონი: ყვარლის № 1 საბავშვო ბაღი;
ლაგოდეხის რაიონი: ლაგოდეხის № 1 საბავშვო ბაღი;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენტეხის რაიონი: ლენტეხის საბავშვო ბაღი;
მარნეულის რაიონი: შაუმიანის საბავშვო ბაღი;
მახარაძის რაიონი: ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევითი ინსტიტუტის საბავშვო ბაღი;
მაიაკოვსკის რაიონი: მაიაკოვსკის № 1 საბავშვო ბაღი;
მესტიის რაიონი: მესტიის საბავშვო ბაღი;
მცხეთის რაიონი: მცხეთის № 1 საბავშვო ბაღი;
ორჯონიკიძის რაიონი. ორჯონიკიძის ბაგა-ბაღი;
სამტრედიის რაიონი: სამტრედიის ბაგა-ბაღი;
საჩხერის რაიონი: საჩხერის № 1 საბავშვო ბაღი;
თელავის რაიონი: თელავის № 1 ბაგა-ბაღი;
თეთრიწყაროს რაიონი: თეთრიწყაროს საბავშვო ბაღი;
თიანეთის რაიონი: თიანეთის ბაგა-ბაღი;
ხაშურის რაიონი: ხაშურის ბაგა-ბაღი;
ხობის რაიონი: ხობის ბაგა-ბაღი;
ცაგერის რაიონი: ცაგერის № 1 საბავშვო ბაღი;
წითელწყაროს რაიონი: არბოშიკის საბავშვო ბაღი;
წალენჯიხის რაიონი: წალენჯიხის № 1 საბავშვო ბაღი;
წულუკიძის რაიონი: წულუკიძის № 1 საბავშვო ბაღი;
ცხაკაიას რაიონი: ცხაკაიას № 1 საბავშვო ბაღი, ხალიჩების კომბინატის ბაგა-ბაღი;
წყალტუბოს რაიონი: წყალტუბოს № 2 საბავშვო ბაღი;

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
**თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი
**ლ. თვაური**

საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების საბჭოს პრეზიდენტი
**დ. ლორთქიფანიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ 1970 Წ. 16 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 144

### საღამოს (ცვლის) დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამების განმხილველი და შემდგენელი კომისიის გამოყოფის შესახებ

§ 1

საქართველოს სსრ საღამოს (ცვლის) სკოლების ახალ სასწავლო გეგმებზე გადასვლის გამო, რაც არსებითი ხასიათის ცვლილებებს იწვევს ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამებში, შეიქმნას ამ საგნების პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განმხილველი და შემდგენელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. მ. ბურჭულაძე, დოცენტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების სექტორის გამგე (კომისიის თავმჯდომარე).
2. ო. დოლაბერიძე, დოცენტი, ამავე ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სექტორის გამგე.
3. მ. ჩინჩალაძე, ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
4. კლ. დევდარიანი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი.
5. გ. ბარამიძე, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.
6. ნ. უსტიაშვილი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი.
7. ა. ჩაჩიბაია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი.
8. ვლ. მახარაძე, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

9. ე. გელაშვილი, გამომცემლობა „განათლების“ რედაქტორი.

10. ის. წოწონავა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი, დოცენტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

11. გ. შაფაქიძე, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების მეთოდკაბინეტის დირექტორი.

12. ირ. ბუგიანიშვილი, ამავე მეთოდკაბინეტის მეთოდისტი.

13. დ. ცქვიტინიძე, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების კაბინეტის გამგე.

14. ს. დვალი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი (კომისიის მდივანი).

15. ც. მარი, ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის 23-ე სკოლის მასწავლებელი.

§ 2

დაევალოს კომისიას, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამების განხილვა-შედგენა დაამთავროს ა/წ 25 აპრილამდე.

§ 3

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ფ. ტყემალაძე) და საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მეთოდკაბინეტმა (ამხ. გ. შაფაქიძემ) რესპუბლიკის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები და სახელმძღვანელოები გამოსცენ მხოლოდ ზემოხსენებული კომისიების მიერ მათი განხილვის შემდეგ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 36—ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების [illegible] კლასელ მოსწავლეთათვის ავტოსაქმის სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 28 აპრილის № 268 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 69—სასკოლო ინვენტარისა და საბავშვო ავეჯის დამზადების მიმდინარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 8
3. ბრძანება № 78—მმართველობის აპარატის სრულყოფისა და გაიაფების თაობაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ . . . . . . . . . . . 11
4. ბრძანება № 80 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 15
5. ბრძანება № 2/252—77 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 17
6. ბრძანება № 128/166—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისათვის სამხედრო ხელმძღვანელთა კანდიდატების შერჩევის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 19
7. ბრძანება № 88 ა/117—ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებების მუშა-ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა I რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგებისა და II კონფერენციისათვის მზადების შესახებ . . . . . . . . 22
8. ბრძანება № 91—რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . 30
9. ბრძანება № 92—ზოგიერთი საგნის უცხოური ენების სწავლების რიგ საშუალო სკოლებში უცხოური ენების სწავლების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 37
10. ბრძანება №93—საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლის გრაფიკის დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 40
11. დადგენილება—გაზეთ „სახალხო განათლების“ 1969 წლის მუშაობისა და 1970 წლისათვის მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 44
12. დადგენილება—მოსწავლეთა საწარმოო ექსკურსიების ჩატარების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . 50
13. ბრძანება № 135—ქ. ქიათურის განათლების განყოფილებისა და ზოგიერთი სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . .
14. ბრძანება № 139—თბილისის მუსიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატში სამხატვრო-მეთოდური საბჭოს შექმნის შესახებ . . . . 70
15. დადგენილება—ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი „საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღი) მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციის შესახებ“ რესპუბლიკური დათვალიერების შეჯამების შედეგები . . . . 72
16. ბრძანება № 144—საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამების განმხილველი და შემდგენელი კომისიის გამოყოფის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 77

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 12 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VII-70 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,12

შეკვ. 533. უე—10838 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете Министров Груз. ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19